ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 12 – 13 მარტი, 2016

№60 (6986)

ფასი: 50 თეთრი

## ინგლისი თასმა გაანახევრა, ევროპა დერბებს მოისაკლისებს



გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.03 | სტოკი-საუთჰემპტონი | 2.75 | 3.0 | 2.75 |
| 12.03 | ბაიერნი-ვერდერი | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 12.03 | ემპოლი-სამპდორია | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 12.03 | ინტერი-ბოლონია | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 12.03 | ლორიანი-მარსელი | 3.25 | 3.25 | 2.25 |
| 12.03 | გენგამი-სტ.ეტიენი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 13.03 | სევილია-ვილიარეალი | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 13.03 | ლას პალმასი-რეალი | 7.0 | 5.5 | 1.36 |
| 13.03 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 13.03 | დორტმუნდი-მაინცი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 13.03 | კიევო-მილანი | 3.6 | 3.25 | 2.1 |
| 14.03 | ლესტერი-ნიუკასლი | 1.55 | 4.0 | 6.0 |

# „მილიონი ლარი მათ, ვინც ამ ვიდეოს ავტორებთან მიგვიყვანს"



გვ.2

„ყველა წინა შემთხვევის დაუსჯელად დატოვებამ გამოიწვია ეს დანაშაული"

## ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა



გვ.3

თავდაცვის ყოფილი მინისტრი გორის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ დაინიშნა



გვ.4

## ჯონდი ბაღათურია: „კოალიცია „ქართული ოცნების" დაშლის გადაწყვეტილება მიღებულია"

## სოხუმის მიტინგის მიზანი დესტაბილიზაცია იყო?



გვ.5

„ნარკომანებო და დამნაშავეებო, ჩაგვბარდით!"

## „მთავრობის წევრები დავალებებს ისევ სააკაშვილისგან იღებენ"



გვ.3

ტრისტან წითელაშვილი: „უკრაინიდან თბილისში ბოევიკები ჩამოვიდნენ"

## პრემიერმა კვირიკაშვილმა გაფრინდაშვილს კანდიდატურის მოხსნისკენ მოუწოდა



გვ.4

უნივერსიტეტის მართვაში უშიშროების ჩარევა დაუშვებელია



ISSN 1987-9385

# „მილიონი ლარი მათ, ვინც ამ ვიდეოს ავტორებთან მიგვიყვანს“

## „ყველა წინა შემთხვევის დაუსჯელად დატოვებამ გამოიწვია ეს დანაშაული“



11 მარტს ქართველი საზოგადოება ახალი სკანდალის მოწმე გახდა.

იუთუბზე აიტვირთა ერთ-ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო.

მოგვიანებით ვიდეომასალა თავად იუთუბმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის დანაყოფებთან თანამშრომლობის შედეგად, დაბლოკა.

— სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოუწოდებს მოქალაქეებს და მედიასაშუალებებს, არ დაუშვან აღნიშნული ვიდეომასალის ტირაჟირება, — განაცხადეს სუს-ში.

პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ გავრცელების ფაქტზე საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო.

მოგვიანებით პრემიერმა კვირიკაშვილმა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელობასთან საგანგებო თათბირი გამართა.

პრემიერმა მათ მომხდარის დაუყოვნებლივ გამოძიება დაავალა.

გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრას საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე, შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური დაესწრნენ.

* * *

— ყველა წინა შემთხვევის დაუსჯელად დატოვებამ გამოიწვია დღევანდელი დანაშაული, — განაცხადა საიას თავმჯდომარემ ანა ნაცვლიშვილმა.

ეს განცხადება მან სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას მიეძღვნა.

ნაცვლიშვილის თქმით, ეს არ არის ერთი იზოლირებული შემთხვევა და ყველა განცხადება, რომელიც აქამდე იყო საჯარო პირების მიერ გაკეთებული შანტაჟის შესახებ, შესაბამისი უწყებების მიერ იგნორირებული იყო.

— ეს არის პირდაპირი და უსაშინლესი დარტყმა სამართლიან და თანასწორ საარჩევნო გარემოზე, კანონის უზენაესობაზე და ადამიანის უფლებებზე ამ ქვეყანაში. საჭიროა ჩატარდეს უსწრაფესი გამოძიება და გამოვლენილ იქნეს ყველა პირი, ვინც მონაწილეობს ამ საშინელ დანაშაულში. პირები, რომლებმაც ჩაიწერეს აღნიშნული, პირები, რომლებმაც გაავრცელეს, ყველა უნდა იყოს გამოვლენილი და დასჯილი კანონის სრული სიმკაცრით, — განაცხადა საიას თავმჯდომარემ.

მისი თქმით, ამ კონდიციამდე მივედით იმიტომ, რომ ყველა განცხადება, რომელიც აქამდე იყო გაკეთებული საჯარო პირების მიერ, რომ მათ ემუქრებოდნენ და აშანტაჟებდნენ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით, იყო იგნორირებული და არაადეკვატური განცხადებები კეთდებოდა, რომ ასეთ რამეს ხელისუფლება არ დაუშვებდა, რომ ეს წარმოუდგენელია, ასეთი რამ არ მოხდებოდა,

— როგორ შეიძლება ვინმეს ეშინოდეს იუსტიციის მინისტრის — ასეთი განცხადებაც მოვისმინეთ დღეს და ასე შემდეგ. ყველა წინა ფაქტის დაუსჯელად დატოვებამ გამოიწვია დღევანდელი მოქმედება და ყველა საჯარო პირის მიმართ, იქნებიან ეს პოლიტიკოსები, ჟურნალისტები თუ საზოგადოებრივად აქტიური ადამიანები, ეს არის გაფრთხილება და გზავნილი. საზოგადოებამ ეს არ უნდა დაუშვას. თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ვართ სახელმწიფო, ეს დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სისტემური დანაშაული, რომელიც ამ ხელისუფლებამ დატოვა პასუხგაუცემელი, არის ძალიან დიდწილად პასუხისმგებელი იმაზე, რაც დღეს მოხდა, — განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

* * *

საინტერესო და ორიგინალური განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

მან დამნაშავის გამოსავლენად მილიონი ლარის ჯილდოდ დაწესება მოითხოვა.

— შეშფოთება, აღშფოთება და გამოძიების დაწყება აღარ არის ადეკვატური რეაგირება ისეთი გადაგვარებული ადამიანების წინააღმდეგ, ვინც შექმნა, ვინც დაამონტაჟა, ვისაც დასაწყობებული აქვს და ვინც საზოგადოებას მიზანმიმართულად წამლავს ამგვარი მასალების გამოქვეყნებით, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მან ურჩია ძალოვანებს, თვალი გაუსწორონ სინამდვილეს და აღიარონ, რომ მათ ხელთ არსებული ტექნიკური თუ სხვა საშუალებებით და გამოძიების ტრადიციული მეთოდიკით ვერ ვუმკლავდებით ამ საშინელ პრობლემას.

— ამიტომ, გთავაზობთ, მიმართოთ საგანგებო ზომებს და ამგვარი შემთხვევები განიხილოთ, როგორც მთელი საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული მორალური ტერორის აქტები. შესაბამისად, დანაშაულსაც ვებრძოლოთ ისე, როგორც ებრძვიან ტერორიზმს:

ა) ტექნიკური დახმარებისთვის მიმართეთ საერთაშორისო ანტიტერორისტულ ქსელებს. შეუძლებელია ჩვენს შემთხვევაში საქმე გვქონდეს იმ დონის ინტერნეტ-კონსპირატორებთან, რომ აღნიშნულმა სპეციალისტებმა ვერ დაადგინონ მასალების წარმოშობის და გავრცელების ადგილი და სხვა დეტალები.

ბ) დააწესეთ მილიონი ლარი და კონსპირაციულობის დაცვის სრული გარანტია იმ პირებისთვის, ვინც გამოძიებას დამნაშავემდე მიიყვანს. საქართველოს პარლამენტი მზად იქნება, სერიოზული წვლილი შეიტანოს შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების მოძიებაში, — განაცხადა უსუფაშვილმა.

* * *

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი იმედოვნებს, რომ საგამოძიებო ორგანოები ოპერატიულად გამოიძიებენ არა მხოლოდ ჩანაწერის ინტერნეტსივრცეში გავრცელების, არამედ ჩანაწერის წარმომავლობისა და ავთენტურობის საკითხს.

ასე ეხმაურება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას.

— მიუხედავად იმისა, რომ დროის მოკლე მონაკვეთში მოხდა მასალაზე წვდომის შეზღუდვა, ინსპექტორი მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც მასალა ხელმისაწვდომი გახდა, თავი შეიკავონ ვიდეომასალის შემდგომი გავრცელებისგან, რათა პირადი ცხოვრების ხელყოფის გამო უფრო მეტი ზიანი არ მიადგეს ჩანაწერში ასახული პირების და მათი ოჯახის წევრების ინტერესებს, — ნათქვამია განცხადებაში.

სამართალი

## ლევან სამუშია: „გამოძიება ინფორმაციებს მალავს“




— გამოძიება მალავს ინფორმაციებს ე.წ. კაბელების საქმეზე. დაცვის მხარის მოწმემ განაცხადა, რომ პროკურატურას თავის დროზე გამოძიების მსვლელობისას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თავდაცვის სამინისტროს არ შეეძლო ოპტიკურბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანა საკუთარი რესურსით, — განაცხადა მოწმემ, სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ თანამშრომელმა რამაზ მოსაშვილმა პროცესზე ბრალდების კითხვების საპასუხოდ.

როგორც მოწმემ აღნიშნა, ის პროკურატურაში 2015 წელს დაიბარეს გამოკითხვაზე და კითხვები დაუსვეს იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა თავდაცვის სამინისტროს მაგისტრალის გაყვანის რესურსი, რაზეც მან უპასუხა, რომ ამის რესურსი არ ჰქონდა და ამას დაახლოებით 4-5 წელიწადს მოანდომებდა.

დაცვის მხარემ კი აღნიშნა, რომ მოწმის გამოკითხვის შესახებ საქმეში არანაირი ინფორმაცია არ დევს და პროკურატურამ დამალა აღნიშნული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რამაზ მოსაშვილის გამოკითხვა მოხდა.

**ლევან სამუშია:**

— მოწმემ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა პროკურატურის თანამშრომლებს, რის შემდეგაც პროკურატურის თანამშრომლებმა მისი დაკითხვა არ მოინდომეს.

როდესაც მიიღეს ინფორმაცია, რომ თავდაცვის სამინისტროს ოპტიკურბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანა არ შეეძლო საკუთარი რესურსით, აღნიშნული პირი დაკითხვის შემდეგ გაუშვეს ისე, რომ არ მოხდა ამ დაკითხვის დაოქმება.

ეს უკვე ცალსახად მიუთითებს გამოძიების დაინტერესებაზე, ტენდენციურობაზე, იმაზე, რომ გამოძიება მალავს ინფორმაციებს.

გამოძიება თურმე იბარებდა მოწმეებს და როდესაც პროკურორი იღებდა ინფორმაციას, რომ თავდაცვის სამინისტროს არ შეეძლო რაღაცის გაკეთება, არ ახდენდა ამის დაოქმებას და, შესაბამისად, გამოძიება მიდიოდა ცალმხრივად.

**ინტერპრესნიუსი**

## პაპუაშვილის ოჯახის წევრებმა მუქარის შემცველი შეტყობინება მიიღეს



იუსტიციის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ოჯახის წევრებმა მუქარის შემცველი შეტყობინება მიიღეს. ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

— მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ოჯახის წევრებმა უცნობი პირისგან მიიღეს მუქარისა და შეურაცხყოფის შემცველი სატელეფონო შეტყობინება. აღნიშნული პირის ვინაობის დადგენის მიზნით სამართალდამცავმა ორგანოებმა უკვე დაიწყეს გამოძიება.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მომავალში მაინც მოახერხებენ, ისაუბრონ და იმოქმედონ ისე, როგორც ეს მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს შეეფერება, — ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## კონსტანტინე კორკელია: „რუსეთი ვალდებულია, ითანამშრომლოს ევროსასამართლოსთან“

8-10 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების ადამიანის უფლებათა საკითხებზე კომიტეტის 1250-ე სხდომა გაიმართა.

სხდომის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენის აღსრულება საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“.

როგორც euronews.ge წერს, დებატებისას სიტყვით გამოვიდა ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, კონსტანტინე კორკელია, რომელმაც, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი და აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

— მისი განცხადებით, რუსეთის მხარემ უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებას მომავალში.

საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა რუსეთის ფედერაციის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან თანამშრომლობის აუცილებლობას.

დებატებში მხარი დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, ირლანდიამ, ლიტვამ, ლატვიამ, უკრაინამ, ნორვეგიამ, ფინეთმა, შვედეთმა, დანიამ და შვეიცარიამ დაგვიჭირეს, — წერს euronews.ge.



აღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაჩენი 2014 წელს საქართველოს სასარგებლოდ გამოიტანა. საქმე ეხება 2006 წლის სექტემბრის ბოლოდან 2007 წლის დასაწყისამდე რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეების მასობრივ დაკავებასა და დეპორტირებას.

**ინტერპრესნიუსი**

## შსს-მ გურიის რეგიონში ქურდობის ბრალდებით 10 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გურიის რეგიონში სხვადასხვა დროს მომხდარი ქურდობის ფაქტებზე 10 პირი დააკავეს და ერთი პირი ამხილეს.

სამართალდამცველებმა ოზურგეთის რაიონში 1994 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიგო გ., 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი შალვა მ., 1983 წელს დაბადებული ზვიად ბ. 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი გ., 1992 წელს დაბადებული მამია გ., 1945 წელს დაბადებული დავით ღ.; ჩოხატაურის რაიონში — 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ზურაბ დ., 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მირზა ს., 1986 წელს დაბადებული იმედა დ.; ლანჩხუთის რაიონში – 1945 წელს დაბადებული გაიდარ ც. დააკავეს, 1993 წელს დაბადებული მიხეილ ჩ. კი სხვადასხვა დროს მომხდარი ქურდობის ფაქტებში ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა გურიის რეგიონში მოქალაქეების საცხოვრებელი სახლები, სწრაფი ჩარიცხვის აპარატები, მაღაზიები და სხვადასხვა ტიპის ობიექტები გაქურდეს.

სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ქურდობის და ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ფაქტებზე მიმდინარეობს,




რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მთავრობის წევრები დავალებებს ისევ სააკაშვილისგან იღებენ“



## ტრისტან წითელაშვილი: „უკრაინიდან თბილისში ბოევიკები ჩამოვიდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ ასრულებს სააკაშვილის დავალებებს საქართველოს მთავრობაში, ვინ მფარველობს ძებნილებს, რას გეგმავენ ნაციონალები, ვის უწამლავს ტვინს კობა ხაბაზი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.

**ტრისტან წითელაშვილი:**

– უკვე აღარც კი მახსოვს, მერამდენე თვეა, ხელისუფლებას იმ არეულობის შესახებ ვაფრთხილებ, რომელიც საქართველოში საპარლამენტო არჩევნებისთვის იგეგმება. გეგმა მიხეილ სააკაშვილს აქვს შემუშავებული და მისი განხორციელება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

ვიღაცები ჩემს გაფრთხილებებს თავიდან ალმაცერად უყურებდნენ. არადა, შარშან შემოდგომაზე გამოჩნდა, რომ მართალი ვიყავი. რუსთავი 2-ის გარშემო დატრიალებული ამბებიდან ყველა დარწმუნდა, რომ სააკაშვილს აქ ზონდერები ჰყავდა გამოგზავნილი.

ეს ზონდერები მაშინაც დავაფიქსირე, აქ ვეტერანთა შეკრება რომ ჩატარდა. უკრაინიდან ჩამოსულ ქართველ ზონდერებს უკრაინული სამხედრო ფორმები ეცვათ. ჩვენ მათ ფოტოები გადავუღეთ და გავასაჯაროვეთ.

ისინი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში გადანაწილდნენ. ამ თვის ბოლოდან ეს ხალხი აქტიურ ქმედებებზე გადავა.

***– უკრაინიდან ჩამოსულ ქართველ ზონდერებს ფოტოები გადავუღეთო, ამბობთ. ეს მასალა სათანადო ორგანოებს თუ მიაწოდეთ?***

– ბუნებრივია, მივაწოდე. ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია იყო სრულყოფილი. დეტალებში აღვუწერე, რა ვითარებაში შემოვიდნენ ისინი თბილისის აეროპორტში. მათ ეცვათ უკრაინული სამხედრო ფორმები შემდეგი წარწერებით: „აზოვი“ და „დონბასი“. ეს ფოტომასალა გადავეცი ხელისუფლებას, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ყოფილა. რამდენიმე დღის წინ ისინი ქუჩაში შემხვდნენ, თავიანთ ოფისთან მიდიოდნენ.

***– რა ოფისზეა საუბარი?***

– ამნაირების შტაბი არის ყოფილი პირიმზის ტერიტორიაზე, ახლა კოდუების დედა რომ აკონტროლებს. ისინი არაერთხელ მყავს ამ ტერიტორიაზე დაფიქსირებული. არის ზონდერების მეორე ჯგუფიც, რომელიც იამანიძის ქუჩაზე ვეტერანთა ჰოსპიტალს არიან ამოფარებული. ორივე დაჯგუფება სააკაშვილის პირად დაქვემდებარებაშია და დაფინანსებასაც იქიდან იღებენ.

***– სააკაშვილი აძლევს ფულს?***

– დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება დავით კეზერაშვილს აქვს დავალებული. მან უნდა დააფინანსოს ე.წ. დამოუკიდებელი ექსპერტები და ზონდერები.

***– თქვენ თქვით, რომ უკრაინიდან ჩამოსულებს იქაური სამხედრო ფორმები ეცვათ. ცოტა უცნაური არაა საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის სამხედრო ფორმით სიარული ან იქნებ ამას კანონი არ კრძალავს?***

– ამის უფლება არავის აქვს. ისინი ამ ფორმებით რომ გამოვიჭირე და გეგმაც ჩავუშალე, დამირეკეს და ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს. შეხვედრაზე მოტყუებით მიმიყვანეს. მითხრეს, თითქოს ომის ვეტერანებს სურდათ ჩემთან საუბარი. წავედი, ისინი დამხვდნენ გაზეთებით, სადაც ჩემი ინტერვიუები იყო გამოქვეყნებული. მისაყვედურეს, რატომ წერ ჩვენზე ასეთ რამეებსო.

მე იქით დავუსვი კითხვა და დავინტერესდი, რატომ დადიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების ფორმით. ისიც ვუთხარი, სააკაშვილის ბანდის წევრები ხართ და აქ არეულობა გინდათ-მეთქი. შეხვედრაზე სისხლის სამართლის კოდექსი მქონდა წაღებული და იქიდან რაღაცები წავუკითხე.

***– რა წაუკითხეთ?***

– ამ კოდექსის 310-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს იმ პირის პატიმრობას, რომელიც სხვა ქვეყანაში არაოფიციალურად მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებებში. აი, ეს წავუკითხე და ვუთხარი, ამის მიხედვით თქვენ ციხეში უნდა იყოთ-მეთქი. ამის თქმა იყო და გამეცალნენ. ამის შემდეგ ჩემთან აღარ დაურეკავთ, მაგრამ მე ვადევნებ თვალს.

მათ გოგა ონიანთან და ნიკა მელიასთან აქვთ მჭიდრო კავშირი. ონიანი ძველი ზონდერია და მას საკმაოდ სერიოზული ჯგუფი ჰყავს. ისინი მალე გააქტიურდებიან. კიდევ არიან სხვა ჯგუფები, რომლებიც საჭირო დროს შერწყმულად იმოქმედებენ.

***– რა მოქმედებები უნდა განახორციელონ მათ?***

– ისინი იმ დავალების მიხედვით იმოქმედებენ, რომელიც მათ უკრაინიდან მოუვათ. მათგან სხვადასხვა ტიპის არეულობებს უნდა ველოდოთ.

***– ნაციონალების მხრიდან მოსალოდნელ არეულობებზე უკვე 3 წელია საუბრობენ, მაგრამ დღემდე არაფერი მოუწყვიათ და გადაჭარბებული ხომ არ არის ეს შიშები?***

– იცით, რატომ არ მოაწყვეს? მათი გეგმები წინასწარ გავშიფრეთ და ხელ-ფეხი შევუკარით. ახლა უკვე ყველაფერზე წავლენ, რადგან საარჩევნოდ არეულობა სჭირდებათ. ისინი სხვადასხვა სახის აქციას გამართავენ. მე არც დივერსიულ აქტებს გამოვრიცხავ. ყველაფერს გააკეთებენ, რომ მოსახლეობა ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყონ და ქუჩაში გამოიყვანონ.

მოვუწოდებ ხელისუფლებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სტრატეგიულ ობიექტებს. ზონდერები შეეცდებიან, ქვეყნის პარალიზება მოახდინონ.

***– მათ 6 მარტსაც ცადეს ხალხის გამოყვანა, მაგრამ ისეთი არაფერი მომხდარა.***

– ზონდერებს იმიტომაც მიმართავენ, რომ ხალხში ნდობა საერთოდ აღარ აქვთ. ამიტომაც შეეცდებიან ისეთი დივერსიის მოწყობას, რაც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს. ამის მოსაწყობად ზონდერებს საკმარისი გამოცდილება აქვთ. ამათი მთავარი მამოძრავებელი ძალა კობა ხაბაზია.

***– ეს კობა ხაბაზი რა ისეთი სტრატეგოსია, რომ ყველას ის უწევს კოორდინაციას და მითითებებს აძლევს?***

– სტრატეგოსი არა, ის. ის ნაციონალების მონა, გაიძვერა, ცუდი და მშიშარა ადამიანია.

***– თუ მშიშარაა, ზონდერებს რანაირად უთავკაცებს?***

– მშიშარა ადამიანებს სულ სხვანაირი ტვინი და ფსიქოლოგია აქვთ, თავში ისეთი ბინძური აზრები მოსდით, სხვა რომ ვერ მოიფიქრებს. ის ამ მიმართულებაში იდეოლოგად ჰყავთ. მასაც გამოჭერილი ჰყავს ახალგაზრდები თუ ზონდერები და უწამლავს ტვინს.

***– რას ეუბნება ამისთანას?***

– თავისი მეთოდებით უნერგავს, რომ ისინი არიან ქვეყნის გადამრჩენები და ნაციონალები თუ არ დაბრუნდებიან, ქვეყანა დაიღუპება. ის ამ თემაზე საათობით კითხულობს ლექციებს. ვაი იმას, ვისაც ხაბაზის ლაპარაკის მოსმენა უწევს.

***– ზემოთ სისხლის სამართლის 310-ე მუხლი ახსენეთ, რომლითაც საქართველოს მოქალაქეს ეკრძალება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე საომარ მოქმედებებში მონაწილეობა. ეს თუ ასეა, რატომ არ დააკავეს ეს პირები, რომლებზეც თქვენ საუბრობთ?***

– ეს ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ვკითხოთ. სისხლის სამართლის კოდექსი რადგან ვახსენეთ, ბარემ 410-ე მუხლსაც გავიხსენებ, რომელიც მოწოდებასაც კი კრძალავს.

რამდენიმე თვის წინ ბაჩანა ახალაიამ ციხიდან მოუწოდა ხალხს – შევქმნათ სამობილიზაციო შტაბები და უკრაინაში წავიდეთ საომრადო. პროკურატურას ამის გამო მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღეძრა, ასევე უნდა დაეკავებინათ ის პირები, რომლებზეც მე ვსაუბრობ.

სამწუხაროდ, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავაც მოქმედებენ სააკაშვილის მიერ ჩატოვებული დივერსანტები. სწორედ მათ გადმოჰყავთ ბოევიკები საზღვარზე და მათი მფარველობით დადიან ისინი თავისუფლად ქუჩაში.

საჯაროდ ვაცხადებ, შინაგან საქმეთა სამინისტროში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე სხედან პირები, რომლებიც უშუალოდ სააკაშვილისგან იღებენ მითითებებს. მთავრობაშიც ბევრია ასეთი.

***– რა მითითებებზეა საუბარი?***

– ყველანაირ მითითებებს ასრულებენ. მაგალითად, უკრაინიდან ზონდერებს რომ აგზავნიან აქ, აფრთხილებენ, რომ მათ ხელი არავინ ახლოს და ასეც არის. საქართველოში ყველამ იცის დავით მარტიაშვილის ამბავი. მის მიმართ საქმეა აღძრული და მასზე ძებნაა გამოცხადებული. სხვა ზონდერების მსგავსად, ისიც უკრაინაშია და სააკაშვილის შტაბს წარმოადგენს.

რამდენიმე თვის წინ მარტიაშვილი საქართველოში იყო ჩამოსული. მიუხედავად იმისა, რომ მასზე ძებნაა გამოცხადებული, ის არავის დაუკავებია და თავისუფლად წავიდა ქვეყნიდან.

ზონდერების მფარველებზე დეტალურ ინფორმაციებს ვაგროვებ და მასაც მალე გამოვაქვეყნებ. არ მავიწყდება შს მინისტრის მოადგილე გამეზარდაშვილის განცხადება. ზაფხულში ვანო მერაბიშვილის ყოფილ მოადგილე ლევან გვაზავას იარაღი გაუვარდა და შემდეგ თვითმკვლელობა ცადა. გამეზარდაშვილი მის სანახავად მივიდა და თქვა, რომ ის პატიოსანი ადამიანი იყო. კაცი მერაბიშვილის მოადგილე რომ არის, რანაირად შეიძლება, ის პატიოსანი იყოს? მეგონა, განმარტებას გააკეთებდა გამეზარდაშვილი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

***– ამით რის დამტკიცება გინდათ, რომ ის არის სააკაშვილის დავალებების შემსრულებელი?***

– ამის თქმა არ მინდა. ეს ამბავი ისე გავიხსენე და არ მომეწონა, მერაბიშვილის მოადგილე კარგად რომ მოიხსენია.

***– ისე, ამბობენ, რომ გამეზარდაშვილი ღარიბაშვილის კადრია.***

– ასე ამბობენ და, სიმართლე გითხრათ, უკვე ველარ ვიგებ, ვინ ვისი კადრია და ვინ რას კადრულობს.

# ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა

## თავდაცვის ყოფილი მინისტრი გორის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ დაინიშნა

შორენა მარსაგიშვილი

ერთი კვირის წინ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა უსისხლო გადატრიალება მოაწყო. 4 მარტს გორის საკრებულოს თავმჯდომარედ მისი პარტიის წევრი ილია მეტრეველი აირჩიეს.

ეს თანამდებობა ვაკანტური მიმდინარე წლის 4 თებერვალს გახდა. ოპოზიციამ ძველ თავმჯდომარეს, რომელიც გორის მაჟორიტარის კადრად ითვლება, იმპიჩმენტი მოუწყო.

ახალი თავმჯდომარის არჩევამ დროებით გაერთიანებული ოპოზიციონერები ერთმანეთთან დააპირისპირა. თავისუფალი დემოკრატების მტკიცებით, ოქრუაშვილის პარტიამ თავისი კანდიდატი „ქართული ოცნების“ დახმარებით გაიყვანა.

ითქვა ისიც, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ამას არ დასჯერდება და წელს დაგეგმილ არჩევნებში გორის მაჟორიტარად იყრის კენჭს. მერე ვიღაცამ თქვა, ნამინისტრალი ისეთი ამბიციური კაცია, გორის მაჟორიტარობას არ დათანხმდებაო.

11 მარტს გამოჩნდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი არც ისეთი ამბიციური კაცი ყოფილა, რადგან ის გორის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გახდა.

ოქრუაშვილის მტკიცებით, მას თანაშემწის თანამდებობა ილია მეტრეველმა შესთავაზა და ისიც დათანხმდა. ნამინისტრალი ამბობს, რომ არცერთი თანამდებობა სათაკილო არ არის, ამტკიცებს, რომ მასზე კარგი



მრჩეველი მეტრეველს არ ეყოლება.

– ჩვენი თანაგუნდელი ილია მეტრეველი, როგორც იცით, გარკვეული მოვლენების შედეგად, რომლებიც გორში განვითარდა, არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარედ. ჩემი ვარაუდით, მას ჩემზე უკეთესი მრჩეველი ვერ ეყოლება და ეს მისი გადასაწყვეტია. ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. შემოთავაზება მივიღე და ვფიქრობ, ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ქალაქში.

ხშირად ისმის კრიტიკა, რომ ქვეყანაში არის არაფორმალური მმართველობა. მე არ მინდა, ჩემი გავლენა და დახმარება მეგობრებზე ასე ჩაითვალოს, შესაბამისად, დავთანხმდი ილია მეტრეველს ამაზე, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ირაკლი ოქრუაშვილმა.

მისივე თქმით, სხვა კანდიდატები მასთან შედარებით კონკურენტუნარიანები არ იყვნენ.

ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვს გორის საკრებულოს თავმჯდომარის აწ უკვე ყოფილ მოადგილე ნათია ომაძეს.

ომაძე გორის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლას აპირებს.

– საკრებულოს თავმჯდომარე ილია მეტრეველმა ჯერ კიდევ 2 მარტს დამიბარა და მითხრა, რომ სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადება დამეწერა, თუმცა მე ვუთხარი, რომ განცხადების დაწერას არ ვაპირებდი და რომ მას ჰქონდა უფლებამოსილება, ბრძანება გამოეცა და ამგვარად გავეთავისუფლებინე სამსაურიდან, – განაცხადა ნათია ომაძემ.

მისი თქმით, რამდენიმე დღის განმავლობაში მას სამსახურიდან არავინ შეხმიანებია.

– 11 მარტის დილას კი საკრებულოს თავმჯდომარე კვლავ დამიკავშირდა, შემხვდა და მითხრა, რომ განცხადება უნდა დამეწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად გამათავისუფლებდა, – ამბობს ყოფილი თანაშემწე.

* * *

მართალია, ოქრუაშვილი ამტკიცებს, რომ არცერთი თანამდებობა სათაკილო არ არის, მაგრამ მის ჩამოლაბორანტებაზე ბევრი მითქმა-მოთქმა ატყდა.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი გუგავას მტკიცებით, ივანიშვილსა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის გარიგება შედგა.

– როგორც, ჩანს ივანიშვილის პროკურატურის „პასტაიანი“ მოწმის სტატუსი ოქრუაშვილისთვის ხელშეუხებლობის გარანტიაა იმ დანაშაულთა დასაფარად და თავის დასაძვრენად, რომლებიც მას ბლომად აქვს ჩადენილი წლების განმავლობაში, მათ შორის პროკურორობისა და მინისტრობის დროს მოპარულ-მითვისებულ– მიტაცებული მილიარდი დოლარის გატანა ქვეყნიდან.

ეტყობა, ხელისუფლებამ საარჩევნოდ ქართლის რეგიონი მიაბარა, რათა საარჩევნო მანიპულაციებითა და მოსყიდვით მიღებული ხმები ივანიშვილს ჩაუჩხრიალოს, – აცხადებს გუგავა.

* * *

გორში პოზიციების გამყარება ირაკლი ოქრუაშვილმა 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზეც ცადა. ის გორის მერის პოსტზე აპირებდა კენჭისყრას, თუმცა მოულოდნელად საარჩევნო კოდექსში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც, მერობის კანდიდატი ბოლო 3 წელი საქართველოში უნდა ჰქონოდა ნაცხოვრები.

ოქრუაშვილს კი ეს პერიოდი ძირითადად პარიზში ჰქონდა გატარებული, ამტკიცებდა, ეს ცვლილება მხოლოდ იმიტომ მიიღეს, რომ მე არ მეყარა კენჭიო. მან გამოსავალი მაშინაც იპოვა. მერის პოსტზე თანაპარტიელი წარადგინა, თავად კი მის მოადგილედ წარმოიდგინა თავი. თავადვე ხუმრობდა, მთელ საქართველოში მერებს ირჩევენ, გორში – მერის მოადგილესო.

მაშინ ოქრუაშვილმა ვერც მერის მოადგილეობას გამოჰკრა ხელი. არადა, დაპირებები სერიოზული ჰქონდა. გორელებს დაჰპირდა, პენსიებს გაგიზრდით და სტალინის ძეგლსაც ხელახლა წამოვჭიმავ გორის ცენტრშიო.

საინტერესოა, ახლა თუ ურჩევს საკრებულოს თავკაცს სტალინის ძეგლის აღმართვას.

გავრცელებული ინფორმაციით, მას უკვე დაწყებული აქვს საარჩევნო კამპანია და გორის მაჟორიტარობისთვის აპირებს ბრძოლას.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ჯონდი ბაღათურია: „კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის გადაწყვეტილება მიღებულია“

ნონა ცაბაძე

**გაერთიანდება თუ არა ოპოზიციური სპექტრი? რა ხდება უმრავლესობაში? ვის რა შანსები აქვს არჩევნებზე? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.**

***— ბატონო ჯონდი, ამ თემაზე ჩვენი გაზეთი რამდენიმე დღის წინაც წერდა. საუბარია სამი ოპოზიციური პარტიის: თქვენი, ნინო ბურჯანაძის და ირმა ინაშვილის პარტიების გაერთიანებაზე. დაწყებულია ამ თემაზე კონსულტაციები?***

— უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ინიციატივა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადად მოხდეს ოპოზიციის გაერთიანება. რომელი პოლიტიკური ძალები მიიღებენ ამაში მონაწილეობას, ამას ექნება დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

***— ანუ დიალოგი არ მიმდინარეობს?***

— ჯერჯერობით დიალოგი ამ თემებზე არ დაწყებულა. იყო მხოლოდ შემოთავაზება ამ დიალოგის დაწყების. ამის შემდგომ ერთი შეხვედრა გაიმართა ჩვენსა და პატრიოტთა ალიანსს შორის. უბრალოდ, უკეთ გავერკვიეთ მათ ხედვებში, ჯერჯერობით მეტი არაფერი მომხდარა. კონსოლიდირებული ოპოზიცია უფრო ეფექტურია და ამომრჩეველიც უფრო აქტიურად მოდის კონსოლიდირებული ოპოზიციის მხარდასაჭერად. თუმცა დიდი მნიშვნელობა ექნება მონაწილე სუბიექტებს. ეს ძალები მისაღები უნდა იყოს ელექტორატისთვის.



***— ანუ არ გამორიცხავთ, რომ რამდენიმე პარტია არჩევნებზე გაერთიანებული სახით წარდგეთ?***

— პირადად მე მხარს ვუჭერ ერთიანობას, მაგრამ ეს ერთობა უნდა იყოს თავსებადი პოლიტიკური ძალების. ჩვენი პარტნიორი არის ნინო ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა. თუმცა დეტალებზე საუბარი ჯერ ადრეა. ვნახოთ, როგორ სახეს მიიღებს დიალოგი ოპოზიციის შიგნით. ოპოზიციის გაერთიანებას მე ყოველთვის მხარს დავუჭერ.

***— ამ ინიციატივის ავტორი თქვენ ხართ?***

— ინიციატივა ეკუთვნის პატრიოტთა ალიანსს. დიალოგის დაწყებაზე ინიციატივა ირმა ინაშვილისგან წამოვიდა და მე ამას მივესალმები.

***— თუ იცით ნინო ბურჯანაძის პოზიცია ამ თემაზე?***

— ნინო ბურჯანაძე ჩვენი პარტნიორია, ჩვენ ალიანსი გვაქვს. ეს კოალიცია შევქმენით ადგილობრივი არჩევნების დროს და მის დაშლას არც ვგეგმავთ. ზოგადად მეც და ქალბატონი ნინოც ერთიანობას მხარს ვუჭერთ და მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, პოლიტიკურმა ძალებმა თავისი ელექტორატი არ გაყონ და, პირიქით, გააერთიანონ. ეს უფრო ეფექტური იქნება. თუმცა როგორც ჩემთვის, ისე ნინო ბურჯანაძისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება დეტალებს. ამ დეტალებზე კი მოსაზრებები ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის და პასუხს ვერც ნინო ბურჯანაძის მაგივრად გაგცემთ.

***— რა შანსები გაქვთ, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საარჩევნო კანონმდებლობა უცვლელი დარჩა?***

— თუ ოპოზიციამ მოახერხა კონსოლიდაცია, მაშინ ის უფრო ეფექტური იქნება. წინააღმდეგობის გაწევას შეძლებს არა მხოლოდ პროპორციული სიების არჩევისას, არამედ მაჟორიტარებშიც. ამ მხრივ აქ მართლაც ჩნდება შანსი გამარჯვების, მაგრამ თუ კონსოლიდაცია არ მოხდა, მაშინ ჩვენ მოგვიწევს ბრძოლა უბრალოდ ბარიერის გადალახვისთვის.

***— დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, არც იმას გამორიცხავენ, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალოს. მაშინ ხომ სულ სხვა მოცემულობა დგება?***

— კოალიცია რეალურად დაშლილია. ის, რაც დღეს კოალიციაში ხდება, ეს სასურველი არ არის სახელმწიფოსთვის, თუმცა ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში, ეს გამარჯვების შანსს იძლევა. ამიტომ ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

***— რა პროცესია ის, რაც დღეს კოალიციაში ხდება?***

— კოალიციაში არის დღეს დაპირისპირება, არის პოლიტიკურ ინტერესთა კონფლიქტი, არის ფინანსურ ინტერესთა კონფლიქტი, ასევე არსებობს კორუმპირებულ ინტერესთა კონფლიქტი. თუმცა არსებობს ცნობიერებითი კონფლიქტიც. მაგალითად, მრეწველებს და რესპუბლიკელებს ნამდვილად აქვთ ცნობიერებითი კონფლიქტი. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ამ კონფლიქტის პროვოცირება რესპუბლიკელებმა დაიწყეს და პირადი შეურაცხყოფა მიაყენეს მრეწველების ლიდერ გოგი თოფაძეს.

მრეწველები უფრო კონსერვატიული შეხედულებების მქონე პარტიაა, ხოლო რესპუბლიკელების შეხედულებებზე დროს აღარ დავხარჯავ, ყველამ ყველაფერი კარგად იცის.

***— რას გულისხმობთ?***

— რესპუბლიკელების ცნობიერებაზე ლაპარაკი თუ ვინმეს უნდა, ეს ძალიან კარგად და აშკარად გამოჩნდა მათი დამოკიდებულებით ბოლო საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ამის წინააღმდეგ როცა მიდის პარტია, იმ პარტიას რაზე უნდა ველაპარაკოთ?! მათი სახე კიდევ ერთხელ გამოჩნდა. პირველად ექსკლუზიურად სწორედ თქვენ გითხარით ის ინფორმაცია, რომ ამ ერთსქესიანთა ქორწინების ლობირებას მხარს დაუჭერენ რესპუბლიკური პარტია და ნაციონალური მოძრაობა.

***— თუმცა რესპუბლიკელები კოალიციაში წამყვან ძალად რჩებიან.***

— ეს არის ივანიშვილის სტრატეგიული შეცდომა. წამყვან ადგილზე რესპუბლიკელების ყოფნა არ არის გამოწვეული მათი პოპულარობით, მათი საზოგადოებრივ აზრზე გავლენით. ეს არის განპირობებული იმით, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილთან არიან დაახლოებულები, მასთან ახლოს ყოფნით სარგებლობენ და ხლართავენ ინტრიგებს. ამიტომ მოიპოვეს ასეთი დაწინაურებული პოზიცია კოალიციის შიგნით. ამიტომ აძლევენ თავს უფლებას, ასე გამაღიზიანებლად ილაპარაკონ, რაც დიდი ინტელექტის მაჩვენებელი არ არის.

***— რას ველოდებით? რამდენად მოსალოდნელია სიურპრიზები?***

— ფაქტია, რომ კოალიცია არის დაშლილი და ფაქტია, რომ არის მიღებული გადაწყვეტილება, რომ ეს არ აცნობონ არც საზოგადოებას და არც კოალიციის მონაწილე სუბიექტებს არჩევნებამდე.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ პარლამენტში არ მოხდეს უმრავლესობის დაშლა.

***— მაშინ რა სახით წარდგება არჩევნებზე კოალიცია? ბევრმა ვერ გაიგო უსუფაშვილის განცხადება — სტრატეგიული თანამშრომლობა. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?***

— ამ განცხადების ქვეტექსტში იკითხება ის, რომ კოალიცია დაიშალა, მაგრამ ამაზე განცხადებას არ გააკეთებენ არჩევნებამდე. უმრავლესობას შეინარჩუნებენ იმისთვის, რომ თანამდებობები შეინარჩუნონ.

კოალიციის დაშლა არ აწყობს „ქართულ ოცნებას“, რადგან დაკარგავს უმრავლესობას. უმრავლესობის დაშლა არც რესპუბლიკელებს აწყობთ, რადგან დაკარგავენ უსუფაშვილის სკამს, აი ამიტომ ორივე მხარე ჩუმადაა და ელოდება არჩევნებს. ეს არის მათი სტრატეგიული თანამშრომლობა.

ცნობილი გამონათქვამი არსებობს — ქვეყანას მართავს არა იმპერატორი, არამედ ის, ვინც იმპერატორთან ახლოს არის და მისი ყური ეკუთვნის.

***— ანუ ეს როლი აქვთ რესპუბლიკელებს?***

— ის, ვისაც აქვს საშუალება ყურში ჩაბზუოდეს ლიდერს. დიახ, მათ აქვთ ივანიშვილთან კომუნიკაციის საშუალება.

***— პარტიების დამოუკიდებლად გასვლა არჩევნებზე პარტია „ქართული ოცნებისთვის“ სახიფათო არ იქნება? ეს ხომ არ იქნება ბეწვის ხიდზე გავლა?***

— ივანიშვილის როლი გადამწყვეტია. ის „ქართული ოცნების“ დამფუძნებელია, ამიტომ სხვებზე მეტ მხარდაჭერას მიიღებენ. ზოგიერთმა პარტიამ ივანიშვილის ხარჯზე პოზების დაჭერა დაიწყო და იმაზე მეტი მოითხოვა, ვიდრე ეკუთვნით. ამიტომ ყველასთვის ჯობია მარტო გასვლა. ეს მარტო რესპუბლიკელებს არ ეხებათ, სხვებიც დადიან გაბღენძილები და გაფხორილები.

ნათია ხურცილავა

# პრემიერმა კვირიკაშვილმა გაფრინდაშვილს კანდიდატურის მოხსნისკენ მოუწოდა

## უნივერსიტეტის მართვაში უშიშროების ჩარევა დაუშვებელია



**სტუდენტები პრემიერ-მინისტრისგან „ოდეერების“ საქმის გამოძიებას ითხოვენ**

„უნივერსიტეტს რეალური ავტონომია“, „გაუმარჯოს თავისუფალ სტუდენტებს“, „შორს „ოდეერები“ უნივერსიტეტისგან“, „ილიუნი თქვენთანაა“, „პოლიტიკოსები შორს უნივერსიტეტისგან“ — ასეთი შეძახილებით დაიწყო 11 მარტს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში სტუდენტების აქცია.

— აქცია გრძელდება, სანამ მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, — განაცხადეს მათ.

სტუდენტებმა 10 მარტის ღამე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში გაატარეს. მათი მოთხოვნები უცვლელია:

1. კანცლერის თანამდებობის ერთადერთმა კანდიდატმა გიორგი გაფრინდაშვილმა მოხსნას კანდიდატურა.

2. „ოდეერების“ ინსტიტუტი გაუქმდეს და დაიწყოს აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება.

აქციას ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებიც შეუერთდნენ. ილიაუნის სტუდენტები აცხადებენ, რომ პირველ რიგში მათ სოლიდარობა გამოუცხადეს თანატოლებს და ისინიც მიიჩნევენ, რომ „ოდეერების“ ინსტიტუტის ეპოქა წარსულს უნდა ჩაბარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესი შეუქცევადი გახდება.

აქციაზე ცნობილი გახდა, რომ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გიორგი გაფრინდაშვილს კანდიდატურის მოხსნისკენ მოუწოდა.

— გამომდინარე იქიდან, რომ ამ ესკალაციის ფონზე გაჩნდა გარკვეული ეჭვები ხელისუფლების მხრიდან პროცესში ჩარევის კუთხით, მინდა, ვთხოვო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ვლადიმერ პაპავას, მაქსიმალურად უზრუნველყოს პროცესის დამოუკიდებლობა და არჩევნების პროცესის გამჭვირვალობა.

ასევე, მინდა, ვთხოვო საბჭოს წევრებს, რომლებიც მხარს უჭერენ გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას და თავად გიორგი გაფრინდაშვილს, გაითვალისწინოს არსებული სიტუაცია და, ახალგაზრდებს შორის რაიმე სახის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, საკუთარი კანდიდატურა არჩევნებიდან მოხსნას, — ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

პრემიერის ამ განცხადებას უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა გამოეხმაურა.

— გიორგი კვირიკაშვილს შემიძლია ვუთხრა, რომ უნივერსიტეტში საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისთვის სრული მზადყოფნაა, — განაცხადა მან.

გიორგი გაფრინდაშვილის მიერ კანდიდატურის მოხსნა, პაპავას თქმით, მის კომპეტენციას სცდება და გამოსავალი არსებული სიტუაციიდან არის მოქმედი კანონი.

— რამდენჯერმე მქონდა საუბარი ამ თემაზე გაფრინდაშვილთან. ამ ბოლო დროს არც სენატის წარმომადგენელს და არც გაფრინდაშვილს აღარ დავკონტაქტებივარ. სენატის გადასაწყვეტია, გამართავს თუ არა სხდომას, გამოსავალი არის მხოლოდ მოქმედი კანონი. თუ მოხსნის კანდიდატურას გაფრინდაშვილი, აკადემიურმა საბჭომ ხელახლა უნდა გამოაცხადოს კონკურსი, თუ არ მოხსნის კანდიდატურას, სენატმა უნდა მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება, — განაცხადა ლადო პაპავამ.

კითხვას, იცოდა თუ არა უნივერსიტეტის რექტორმა უნივერსიტეტში „ოდეერების“ არსებობის შესახებ, პაპავამ ასე უპასუხა:

— ამის შესახებ საკითხის გამწვავების შემდეგ გავიგე.

* * *

პრემიერის განცხადებას, რომლითაც მან გაფრინდაშვილს კანდიდატურის მოხსნისკენ მოუწოდა, სტუდენტები მოწონებით შეხვდნენ. იქვე გიორგი კვირიკაშვილს მათ უნივერსიტეტში „ოდეერების“ არსებობის ფაქტის გამოძიებას დაწყებისკენ მოუწოდეს.

უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდასაჭერად რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი იყო მისული. მას სტუდენტებმა თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს და აუხსნეს, რომ პროცესის პოლიტიზების შესაძლებლობას არავის მისცემენ, რის შემდეგაც ბერძენიშვილმა უნივერსიტეტი დატოვა.

მოგვიანებით პირველი კორპუსიდან სტუდენტებმა უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან გადაინაცვლეს. იქ იმყოფებოდნენ გიორგი გაფრინდაშვილის მხარდამჭერები, რომელმაც კანდიდატურის მოხსნაზე უარი განაცხადა.

— აკადემიური საბჭოს 9 წევრმა მხარი დამიჭირა და ყველანაირი უფლება მაქვს წარვდგე საბჭოს სხდომაზე. რაც შეეხება კანდიდატურის მოხსნას, არ ვაპირებ და მიმაჩნია, რომ ერთადერთი გამოსავალი არის კონსტრუქციული დიალოგი. თუ ის პრიორიტეტები, რომლებიც ჩემს გეგმაშია, ვერ პასუხობს სტუდენტების მოთხოვნებს, შესაძლებელია ამის გადახედვა, — განაცხადა გიორგი გაფრინდაშვილმა.

მისივე თქმით, არ უნდა მოხდეს პროცესების პოლიტიზება.

* * *

გაფრინდაშვილის განცხადებამ აქციის მონაწილეთა უკმაყოფილება გამოიწვია.

**ლევან ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი:**

— გიორგი გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ ის არ აპირებს კანდიდატურის მოხსნას, რასაც მოჰყვა პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ მოხსნას კანდიდატურა. გიორგი გაფრინდაშვილს სხვა გზა არ აქვს და მან უნდა მოხსნას კანდიდატურა.

ლევან ლორთქიფანიძე ითხოვს, დაიწყოს „ოდეერების“ საქმის გამოძიება.

— ჩვენი მოთხოვნაა, დღესვე დატოვონ უშიშროების წარმომადგენლებმა უნივერსიტეტი, მათ უნივერსიტეტში არაფერი არ ესაქმებათ, უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც სტუდენტები განათლებას იღებენ და პროფესორები მათ ცოდნას უზიარებენ. უნივერსიტეტი არის სტუდენტების, პროფესორების და არა — ვიღაც „ოდეერების“. 21-ე საუკუნეში ოდეერის არსებობას სტუდენტები არ დაუშვებენ და ეს ყველამ კარგად გაიგოს, — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ.

მისი თქმით, თუ გაფრინდაშვილმა მოხსნა კანდიდატურა, მაგრამ „ოდეერების“ საქმე წინ არ წავიდა და გამოძიება არ დაიწყება, პროტესტი არ შეჩერდება.

— პირიქით, სოლიდარობას გვიცხადებენ ბათუმის, სხვა ქალაქების უნივერსიტეტები და ჩვენი პროტესტი ძალიან დიდი საპროტესტო პროცესში გადაიზრდება, — აღნიშნა ლევან ლორთქიფანიძემ.

**თორნიკე შევარდნაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი:**

— ვლადიმერ პაპავამ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში არიან ე.წ. „ოდეერები“ და ჩვენ ვითხოვთ მათგან უნივერსიტეტის გათავისუფლებას. ჩვენ მოვუწოდებთ პრემიერ-მინისტრს, რომ დაიწყოს აღნიშნულ ფაქტზე უნივერსიტეტში გამოძიება, რადგან ეს არის სისხლის-სამართლის დანაშაული. რეალური ავტონომია არის გამოსავალი, ჩვენ თვითონ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რა და როგორ გაკეთდეს.

***— რატომ არ მიიღეთ დავით ბერძენიშვილი?***

— ჩვენ მადლობა გადავუხადეთ მხარდაჭერისთვის დავით ბერძენიშვილს, მაგრამ სტუდენტურ პროტესტს ყოველთვის თან ახლავს პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების სურვილი პოლიტიკოსების მხრიდან. ამიტომ ჩვენ ყველა მხარეს მოვუწოდეთ, რომ ჩვენს თავს არავის გამოვაყენებინებთ.

**გიორგი აროშელიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი:**

— სტუდენტების კრიტიკული აზრის ჩასახშობად არიან ეს „ოდეერები“ მოვლენილნი უნივერსიტეტში, რასაც ვერ შევეგუებით. უნივერსიტეტის მართვაში უშიშროების ჩარევა დაუშვებელია და ჩვენ ამას არ შევეგუებით.

**ავთანდილ ინასარიძე, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი:**

— დღეს სტუდენტობა ერთიანია, რადგან პრობლემები, რომლებიც ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტშია, სრულიად დაუშვებელი და ამორალურია. „ოდეერების“ დრო უნდა დავამთავროთ. დღეიდან ეს არის საერთო ბრძოლა.

# სოხუმის მიტინგის მიზანი დესტაბილიზაცია იყო?

## „ნარკომანებო და დამნაშავეებო, ჩაგვბარდით!“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" წერს იმის შესახებ, რომ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან მომხდარი ინციდენტის შედეგად დაშავდა შს მინისტრის მოადგილე.**

ამას წინ უძლოდა ხალხმრავალი მიტინგი სოხუმის თავისუფლების მოედანზე. მომიტინგეები სოლიდარობას უცხადებდნენ რუსლან ჯელიას, რომლის მანქანაც საგზაო პოლიციამ დაცხრილა და მოითხოვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრ ლეონიდ ძიაპშბას გადადგომას, ასევე იმ პოლიციელების პასუხისგებაში მიცემას, რომლებმაც ძალაუფლებას გადაამეტეს.

რუსლან ჯელიას აფხაზეთის გმირის წოდება აქვს. იგი 2015 წლის ნოემბრამდე დრანდის წინასწარი დაკავების იზოლატორის ხელმძღვანელი იყო და ამ თანამდებობიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც იზოლატორიდან დაკავებული გაიქცა. გაქცეული ბაჩუკი ლატარია მაშინვე დააკავეს, თუმცა ჯელიასთვის პასუხისმგებლობა არ მოუხსნიათ.

რუსლან ჯელია მანქანით გადაადგილდებოდა, როცა მოულოდნელად მისი მანქანა სამართალდამცავებმა დაცხრილეს, რამაც საზოგადოების პროტესტი გამოიწვია.

ამჯერად შინაგან საქმეთა უწყება აცხადებს, რომ რუსლან ჯელიასთან დაკავშირებული ისტორია გაუგებრობის შედეგია. სამართალდამცავები აკეთებენ განცხადებებს იმაზეც, რომ მომიტინგეებში, ჯელიას გულშემატკივრებთან ერთად, პროვოკატორებიც იყვნენ.

შსს-თან გამართული უსანქციო მიტინგის ჩატარების ფაქტს შეისწავლის პროკურატურა, შს სამინისტრო კი იძიებს ამ შენობასთან მომხდარ ინციდენტს.

ამ თემაზე შსს ვეტერანთა რამდენიმე ორგანიზაციასთან ერთად ავრცელებს მიმართვას, რომელშიც ნათქვამია, რომ მასობრივი ღონისძიებების დროს შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გაატარებს კანონით დადგენილ კომპლექსურ ღონისძიებებს.

მიმართვაში ნათქვამია, რომ შს მინისტრმა განმარტებები მისცა რუსლან ჯელიასა და ახლობლებს. გაირკვა, რომ გასროლა ჰაერში განხორციელდა. შეხვედრის მონაწილეებმა მომიტინგეებს დაშლისკენ მოუწოდეს, მაგრამ ახალგაზრდების აგრესიული ნაწილი არ დაიშალა. შსს აღნიშნავს, რომ ამ ახალგაზრდებს შორის იყვნენ კრიმინალები, რომელთა გამოყენებაც ოპოზიციას დესტაბილიზაციისთვის სურდა.

— მათი ერთადერთი მიზანი დესტაბილიზაცია იყო. მათგან ისმოდა პროვოკაციული ხასიათის პოლიტიკური ლოზუნგები და მოწოდებები შენობის შტურმზე.



### შსს ზომებს ამკაცრებს

— შინაგან საქმეთა სამინისტრო იცავს მოქალაქეთა თავისუფალი ნების გამოხატვის უფლებას მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების ფორმით. ამასთან, ჩვენ გავატარებთ კანონით დადგენილი ზომების მთელ კომპლექსს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სხვადასხვა სახის ღონისძიების დროს, — აცხადებს ძიაპშბას უწყება.

ამავე დროს, შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კრიმინალებიც იყვნენ, მათ წინადადებით მიმართავს:

— ჩაგვბარდნენ ისინი, ვინც ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფება და ვინც ეჭვმიტანილია მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

ლეონიდ ძიაპშბა ირწმუნება, რომ დანაშაულის გახსნა გაუმჯობესდა და ეს მაჩვენებელი 56-დან 73%-მდე გაიზარდა.

# ევროპის ქვეყნები, სადაც საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება ევროკომისიის მიერ საკანონმდებლო პროცესის ინიცირებას, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში და საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების კიდევ ერთი აღიარებაა.

ამასთან დაკავშირებით სამინისტრო სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

— ევროკომისიის წინადადება ეფუძნება 2015 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშს, რომლის თანახმად, საქართველომ წარმატებით შეასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა მოთხოვნა ოთხი ძირითადი მიმართულებით: დოკუმენტების უსაფრთხოება, საზღვრის მართვა, მიგრაცია, თავშესაფარი, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, ადამიანის ძირითადი უფლებები.

შემდგომი პროცედურის თანახმად, ევროკომისიის წინადადებას რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ განიხილავენ ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო. ევროპარლამენტის თანხმობის შემდეგ, ევროკავშირის საბჭო დაამტკიცებს განახლებულ რეგულაციას და ცვლილებას ხელს მოაწერენ ევროპარლამენტის პრეზიდენტი და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი. ცვლილების საფუძველზე საქართველო შეტანილ იქნება იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებიც შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმით სარგებლობენ. ევროკავშირთან მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდება რეგულაციის ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 20 დღეში.

ჩვენი მოლოდინია, რომ ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტში შესაბამისი პროცედურები დროულად დასრულდება და უახლოეს მომავალში, ბიომეტრული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ვიზის გარეშე გაემგზავრონ მოკლევადიანი ვიზიტით (90 დღე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში) ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში.

მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმი გავრცელდება 30 ქვეყანაზე: შენგენის სივრცის ევროკავშირის წევრი 22 ქვეყანა: პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, იტალია, დანია, შვედეთი, ფინეთი, ავსტრია, საბერძნეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, მალტა. შენგენის კანდიდატი, ევროკავშირის 4 წევრი ქვეყანა: კვიპროსი, ხორვატია, რუმინეთი, ბულგარეთი. შენგენის ასოცირებული 4 ქვეყანა: ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტაინი, შვეიცარია.

საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში მიღწეული პროგრესი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ევროკავშირი სათანადოდ აფასებს ხელისუფლების მიერ გაწეულ ძალისხმევას და გატარებულ რეფორმებს კონკრეტული შედეგი მოაქვს საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

2016 წლის 9 მარტს ევროკომისიამ ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას.

**ნიუსპრესი**

# „საქაერონავიგაციას“ თვითმფრინავი-ლაბორატორია შეამოწმებს



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაციის“ კუთვნილ მოწყობილობებს ჩეხური კომპანიის თვითმფრინავი-ლაბორატორია შეამოწმებს. საფრენოსნო შემოწმების აღნიშნული წესები და სტანდარტები საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის მიერაა დადგენილი, რასაც „საქაერონავიგაცია“ ყოველწლიურად ახორციელებს.

— ჩვენი კომპანია საფრენოსნო შემოწმებას წელიწადში 2-ჯერ ატარებს. აღნიშნული პროცედურა გულისხმობს მთელი საქართველოს შემოფრენას სპეციალურად აღჭურვილი თვითმფრინავით, რომელიც საქართველოში არსებული ყველა სანავიგაციო ტექნიკური საშუალების მუშაობის შესახებ აგროვებს მონაცემებს. ჩეხური მხარე შემოწმებას 2016 წლის მარტში განახორციელებს. პარალელურად, შემოწმდება საჰაერო მარშრუტზე სარადარო გადაფარვის სახელსაწყო ფრენების პროცედურებიც. ჩეხური კომპანია ეირ ნავიგატიონ შერვიცე ოფ ჩზეცჰ ღეპუბლიც-ის საფრენოსნო შემოწმება შპს „საქაერონავიგაციას“ მისცემს შესაძლებლობას, ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზის პრევენცია მოახდინოს და ამით საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენების უსაფრთხოების მაღალი დონე შეინარჩუნოს“, — განაცხადა შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალურმა დირექტორმა გოჩა მეზვრიშვილმა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალურმა დირექტორმა, გოჩა მეზვრიშვილმა ჩეხეთის საჰაერო მოძრაობის სერვისის პროვაიდერთან ხელშეკრულება გააფორმა, რაც კომპანიის კუთვნილი რადიოტექნიკური და შუქტექნიკური საშუალებების, საჰაერო მარშრუტზე სარადარო გადაფარვისა და სახელსაწყო ფრენების პროცედურების საფრენოსნო შემოწმებას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

# გიორგი კვირიკაშვილი სალომე ზურაბიშვილს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს, სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა პრემიერს საკუთარი ინიციატივა გააცნო, რომელიც „მოქალაქეობის შესახებ“ კანონსა და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. კერძოდ, სალომე ზურაბიშვილის მოსაზრებით, საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად აღარ უნდა შეუწყდეს, როგორც ამას დღეს ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს.

მისივე შეფასებით, ეს ევროპულ ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა და მსგავსი გადაწყვეტილება საქართველოშიც უნდა იყოს მიღებული. პრემიერმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ ამ თემას განიხილავს.

„ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო. ბევრი სხვა საკითხი განვიხილეთ. ვისაუბრეთ მიმდინარე პროცესებსა და შესაძლო სამომავლო თანამშრომლობაზე“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

**ნიუსპრესი**

# ბარაკ ობამა: „პუტინს სურს, საქართველო და უკრაინა გავლენის სფეროში ჰყავდეს“




ამერიკელმა ყოველთვიურმა ჟურნალმა „ეთლენთიქ“-მა აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ინტერვიუ გამოაქვეყნა.

როგორც გერმანული „დოიჩე ველე“ იუწყება, ინტერვიუში ბარაქ ობამამ საქართველოსა და უკრაინის შესახებაც ისაუბრა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს რეზიუმეს:

ბარაკ ობამა თავის რუს კოლეგა ვლადიმირ პუტინთან შეხვედრების შთაბეჭდილებებზე საუბრობს: „იგი ჩემთან საუბრის დროს ძალიან თავაზიანი და გულწრფელია. არასოდეს დაუგვიანია ჩემთან მოლაპარაკების დაწყებაზე, სხვებთან შედარებით, რომლებსაც საათობით ალოდინებს ხოლმე“, — ამბობს ბარაკ ობამა და აღნიშნავს, რომ „ვლადიმირ პუტინი მუდმივად ცდილობს [აშშ-სთან] თანასწორობის დაცვას, ამასთან იგი სულელი არ არის და აცნობიერებს იმას, რომ რუსეთმა მსოფლიოში თავისი პოზიციები დათმო“.

აშშ-ის პრეზიდენტის აზრით, მსოფლიო პოლიტიკაში ვლადიმირ პუტინი თამაშგარე აღმოჩნდა: ბოლო დროს იგი არც ერთ საერთაშორისო სამიტზე არ გამოჩენილა, დღის წესრიგის შემუშავებაში არ მონაწილეობს, მაგალითად, „დიდ ოცეულში“. ბარაკ ობამას თქმით, ის, რომ ვლადიმირ პუტინმა ყირიმი მიიტაცა და სირიაში ბაშარ ასადს ეხმარება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი გლობალურ მოთამაშედ თვალის ერთი დახამხამებით გადაიქცევა.

როგორც აშშ-ის პრეზიდენტი ამბობს, „ნამდვილი ხელისუფლება იმას ნიშნავს, რომ სასურველ შედეგს ძალის აუცილებელი გამოყენების გარეშე უნდა მიაღწიო“. მისი აზრით, რუსეთი უკრაინის მიმართ არასწორად მოიქცა. იგივეს აკეთებს ვლადიმირ პუტინი სირიის მიმართაც — ერთი მხრივ, მხარს უჭერს დიქტატორ ბაშარ ასადს, მეორე მხრივ კი საკუთარ ქვეყანას და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობას ზიანს აყენებს. ბარაკ ობამამ ერთმანეთს შეადარა ორი კონფლიქტი — ვლადიმირ პუტინის მიერ 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის მიტაცება (ამ დროს აშშ სირიის მოვლენებით იყო დაკავებული) და საქართველოში 2008 წელს მომხდარი ომი (როცა ამერიკა ერაყის პრობლემას აგვარებდა). ორივე კონფლიქტის მიზეზი ერთია — რუსეთის სწრაფვა, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები თავისი გავლენის სფეროში ჰყავდეს

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „მხოლოდ ორ წელიწადში საქართველოში 27 ათასი მცირე საწარმო დაიხურა“




მცირე ბიზნესის მნიშვნელობაზე დღეს უკვე არავინ დავობს. როგორც ჩანს, მთავრობამ გადაწყვიტა, ამ სეგმენტში ბევრი რამ შეცვალოს: ფინანსთა სამინისტროში მზადდება კანონპროექტი „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის“ შესახებ.

როგორც ცნობილია, კანონით მკაფიოდ განისაზღვრება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ცნება, გამარტივდება ბუღალტრული აღრიცხვა და საგადასახადო შემოწმება.

ამავე დროს, მთავრობა წლიური ბრუნვის ზღვრის გაზრდის მომხრეა: მიკრობიზნესმენის სტატუსის მისაღებად ბიზნესის ბრუნვის მოცულობა 30 ათასი ლარიდან 1 მილიონ ლარამდე გაიზრდება, მცირე ბიზნესის სტატუსისთვის ზღვარი – 10 მილიონ ლარამდე განისაზღვრება, ხოლო საშუალო ბიზნესისთვის – 50 მილიონ ლარამდე.

ამ ცვლილებების შეფასება „საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელს – თამაზ ვაშაკიძეს ვთხოვეთ, რომელიც მიიჩნევს, რომ კანონის მიღებამდე მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან მეტი კონტაქტია საჭირო.

**თამაზ ვაშაკიძე:**

– ჯერ უნდა ვიცოდეთ, რისთვის კეთდება ეს ყველაფერი და რა შედეგებზეა ორიენტირებული. არ შეიძლება ყველაფერი გადმოვიღოთ პირდაპირ ევროპული კანონებიდან და ამას დავარქვათ მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამა.

საყურადღებოა, რომ დღეს მცირე მეწარმის სტატუსი მხოლოდ ფიზიკურ პირებზე ვრცელდება, თუმცა ბევრს სურს ეს სტატუსი იურიდიულ პირებსაც მიენიჭოს. საქართველოში მიკროსაწარმოს სტატუსი მხოლოდ იმ ბიზნესს ენიჭება, რომლის ბრუნვაც 30 ათას ლარამდეა, თანაც ეს უნდა იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც დაქირავებული მუშაკები არა ჰყავს.

ვინც ეს ზღვარი დააწესა, ალბათ საერთოდ არ იცის, რას ნიშნავს მცირე მეწარმეობა. ამაზე მეტი ნონსენსი არ არსებობს – გაყავით 30 ათასი ლარი 365 დღეზე და ნახავთ, რომ ეს ჯიხურის შემოსავალიც კი არ არის.

***– თავის დროზე რატომ დააწესეს ასეთი აბსურდული ზღვარი მიკრო ბიზნესისთვის?***

– იმიტომ, რომ საქართველოში კანონებს წერენ ჩინოვნიკები, რომლებიც ბიზნესს საერთოდ არ იცნობენ. ვიდრე რაიმე კანონს მიიღებდეს, ჩინოვნიკი უნდა მივიდეს მეწარმესთან და თვეების განმავლობაში უნდა სწავლობდეს რა პრობლემები აქვს მას, რა უჭირს, ან რა ულხინს, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

ასოცირების ხელშეკრულება მაინც აიღონ და წაიკითხონ, რას მოაწერეს ხელი. ევროპაში წლების განმავლობაში სწავლობენ ყველაფერს, ყველა დეტალს და მერე იღებენ კანონში ცვლილებებს.

ოღონდ ხალხმა რაღაც შექმნას, გააკეთოს, შემოსავალი ჰქონდეს და ყველანაირ დათმობაზე მიდიან. საერთოდ, მსხვილი საწარმოების რაოდენობა ყველა ქვეყანაში უფრო მცირეა, მაგრამ მსხვილ ბიზნესს ყველაზე დიდი შენატანი აქვს ბიუჯეტში, ხოლო მცირე ბიზნესს სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვა აქვს და ამით არის უნიკალური: ეს არის უმუშევრობის წინააღმდეგ მიმართული მნიშვნელოვანი მიმართულება. ამიტომ, ყველა მოწინავე სახელმწიფოს ურჩევნია ბიზნესს გაუწიოს შეღავათი და დაეხმაროს, ვიდრე უმუშევრობის შემწეობა გასცეს.

– ცნობილი გახდა, რომ ახალ კანონპროექტში მიკრობიზნესის სტატუსის მისაღებად ბიზნესის ბრუნვის მოცულობა 30 ათასი ლარიდან 1 მილიონ ლარამდე გაიზრდება, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსისთვის ზღვარი – 10 მილიონი ლარი იქნება.

– თუ ეს ციფრები ევროპული კანონებიდან პირდაპირ არის აღებული, არ გამოგვადგება, ევროპაში მიკროსაწარმოს სტატუსი ენიჭება საწარმოს, სადაც 9 თანამშრომელზე მეტი არ მუშაობს, ხოლო ბრუნვა 2 მილიონამდე აქვს. ჯერ დამისახელეთ, სად არის საქართველოში ისეთი საწარმო, სადაც 9 ადამიანი შეძლებს აკეთოს ბიზნესი, რომლის წლიური ბრუნვაც 1 მილიონი ლარი იქნება? ამიტომ, ძალიან საინტერესოა, თუ რის საფუძველზეა აღებული მუშათა რაოდენობა, ან წლიური ბრუნვის მოცულობა მიკროსაწარმოსთვის და მცირე საწარმოსთვის.

დამისახელონ, ვის მაგალითზე აიღეს ეს ციფრები, ან რომელი საწარმოების მაგალითი გამოიყენეს. მით უმეტეს, ამ სფეროში ჩვენ საკმაოდ მწარე გამოცდილება გვაქვს.

***– რა გამოცდილებას გულისხმობთ?***

– სწორედ ასეთი კალკირების და მიბაძვის ბრალია, რომ მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლების დროს საქართველოში 70 ათასი მცირე საწარმო დაიხურა, ხოლო 2011 წლიდან 2013 წლამდე – 27 ათასმა მცირე საწარმომ შეწყვიტა არსებობა – ეს საგადასახადო სამსახურის მონაცემებია.

თუ ორ წელიწადში ამდენი საწარმო დაიხურა, ესე იგი, სახარბიელო მდგომარეობა არ არის და კანონი, რომელიც მოქმედებს, არ არის რეალობასთან შესაბამისი.

ეს არ არის ჩვენი კანონი, ეს ევროპული კანონია და უნდა შეიცვალოს. ჩვენი კანონი იქნება მხოლოდ ის, რომელსაც სერიოზული კვლევის და დაკვირვების შედეგად მიიღებენ და რომელიც ქართულ სინამდვილესთან იქნება მისადაგებული.

***– ესე იგი, ვიდრე ფინანსთა სამინისტროში კანონპროექტის საბოლოო ვარიანტს მიიღებენ, ბიზნესის წარმომადგენლებთან მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონდეთ?***

– ეს აუცილებელია, თუ გვინდა, რომ კანონი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს ასახავდეს და შეეფერებოდეს. სხვათა შორის, იმას, რასაც ახლა აკეთებენ, ჩვენ 10 წლის წინ მოვითხოვდით, მე თვითონ, წიგნიც გამოვეცი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც მცირე ბიზნესის განვითარებას ეხება და მისი პრობლემებია ნაჩვენები.

ჩვენთან მცირე და საშუალო ბიზნესს მხოლოდ ფისკალური ეფექტის მიხედვით აფასებენ, რაც სპობს ამ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს. კიდევ ვიმეორებ: კანონი უნდა იყოს მისადაგებული არსებულ რეალობასთან და ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ეს ასეა.

ჩვენთან კი, ყველაფერი მეწარმის და სამოქალაქო საზოგადოების გარეშე კეთდება, არავის აზრს არ ეკითხებიან და მერე იწყება კამათი იმის გამო, რომ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც საჭიროა. და ბოლოს, ერთი რამ უნდა აღვნიშნო: მცირე ბიზნესს იმიტომ ჰქვია მცირე, რომ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობს, წლიური ბრუნვა და თანამშრომლების რაოდენობა ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია: მთავარი სწორედ ეს შეღავათებია – როგორც ჩანს, ეს საქართველოში ყველამ არ იცის.

**ბიპიენი**

# რა უნდა გააკეთონ გაზრდილი ფინანსური სახსრებით მუნიციპალიტეტებმა




მუნიციპალიტეტებს ვალდებულება დაეკისრებათ, გაზრდილი ფინანსური სახსრები მხოლოდ კაპიტალური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისკენ მიმართონ და ადმინისტრაციული ხარჯები არ გაზარდონ. აღნიშნულ ვალდებულებას დროებითი ხასიათი ექნება და ის 2021 წლამდე იმოქმედებს.

შესაბამისი ინიციატივით მთავრობა გამოდის. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი, რომელიც ცვლილებების განხორციელებას „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ითვალისწინებს, პარლამენტში უკვე წარდგენილია.

მთავრობის პროექტი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯების ზრდის შეჩერებასა და მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდისთვის გათვალისწინებული შესაბამისი სახსრების ზრდას უზრუნველყოფს.

როგორც ამასთან დაკავშირებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განმარტავს, მუნიციპალიტეტების ფინანსური ავტონომიის გაზრდის უზრუნველსაყოფად, 2014 წელს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მუნიციპალიტეტს 2016 წლიდან დამატებითი საკუთარი შემოსულობების წყარო გაუჩნდება, კერძოდ: საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან;

არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან;

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან. ამასთან დაკავშირებით სამინისტრო აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების ზრდის კვალობაზე, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შემდეგ ეტაპზე კვლავ გაგრძელდება, მნიშვნელოვანია, რომ ახლად გაჩენილი დამატებითი ფინანსური სახსრები მიმართულ იქნეს ადგილებზე მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის.

– კანონპროექტის მიღების მიზეზს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯების ზრდის შეჩერება წარმოადგენს. კანონპროექტით იქმნება სამართლებრივი მექანიზმი, რათა მუნიციპალიტეტებმა გაზრდილი საბიუჯეტო რესურსები კაპიტალური პროექტების განხორციელებისკენ მიმართონ.

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა მუნიციპალიტეტების დონეზე ძლიერი მუნიციპალური ხელისუფლების ჩამოყალიბებაა, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

ამასთან, 2014 წელს პარლამენტის მიერ მიღებულმა კოდექსმა განსაზღვრა მთელი რიგი უფლებამოსილებები, რომელიც განსახორციელებლად მუნიციპალიტეტებს გადაეცა – მათ შორის, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მართვა, წყალმომარაგების უზრუნველყოფა, მუნიციპალური ნარჩენების მართვა, უსახლკაროთა თავშესაფრის მოწყობა და ა.შ. აღნიშნული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტის ორგანოებმა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება უზრუნველყონ, – აცხადებენ მთავრობაში.

**ბიპიენი**

# „თავისუფალი დემოკრატები“ უიმედო ვალების ჩამოწერის ინიციატივით გამოდიან



„თავისუფალი დემოკრატები“ მმართველ გუნდს მოქალაქეებისთვის უიმედო საბანკო ვალების ჩამოწერის საკანონმდებლო ინიციატივას სთავაზობენ.

მათ პარლამენტში უკვე დაარეგისტრირეს „საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც პროექტის ავტორმა დავით ონოფრიშვილმა დღეს განმარტებები გააკეთა.

კერძოდ, როგორც ონოფრიშვილი აცხადებს, კანონპროექტის ამოქმედების შედეგად, ათასობით მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, გათავისუფლდეს უიმედო სესხისა და სანქციის დაფარვის ვალდებულებისაგან, ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავებული შიდა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

მეორე მხრივ, ფინანსურ ინსტიტუტს შესაძლებლობა მიეცემა, მის მიერ ნაპატიები სასესხო ვალდებულების ღირებულება ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითოს.

**დავით ონოფრიშვილი:**

– ეს შესაძლებელი გახდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაწესების მეშვეობით. ფინანსური ინსტიტუტების მიერ, ფიზიკური პირებისთვის სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად მიღებული სარგებელი საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდება (მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული თანხა ფიზიკური პირისთვის შემოსავალს წარმოადგენს, რაც გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება).

არსებული მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტების მიერ, ამგვარი სესხების ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ან უიმედო ვალად აღიარებას გარკვეული პროცედურები და ხარჯები სჭირდება, ხოლო პატიების შემთხვევაში, ნაპატიები სესხი კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება.

ჩვენი ინიციატივით ბანკები ამ გადასახადისგან გათავისუფლდებიან, რაც უიმედო ვალების აღიარების სტიმულირებას მოახდენს.

კანონპროექტით, სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირება ხდება და კომერციულ ბანკებს უფლება ენიჭებათ საკუთარი, შიდა კრიტერიუმების მიხედვით, ფიზიკურ პირებს ვადაგადაცილებული და პრობლემური სესხები ჩამოაწერონ, – განმარტა დავით ონოფრიშვილმა.

დეპუტატის თქმით, მოსახლეობას სესხების გასტუმრებაში პრობლემები 2008 წლის ომმა, ფინანსურმა კრიზისმა შეუქმნა და არც შემდგომი წლები იყო ამ თვალსაზრისით მარტივი.

– ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ძალიან ბევრ ქვეყნებში ეხმარებიან. არსებობს სხვადასხვა სახის სახელმწიფოებრივი ჩარევის, რეგულაციების მაგალითები, რათა საკუთარი მოსახლეობა მდგომარეობიდან გამოიყვანონ, – აღნიშნა ონოფრიშვილმა.

**ბიპიენი**

# ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ექსპლუატაციაში წლის ბოლომდე შევა



ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ექსპლუატაციაში წლის ბოლომდე შევა. როგორც თურქული სააგენტო „ანადოლუ“ იტყობინება, ამის შესახებ თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა.

– არ დარჩა არც ერთი საკითხი, რომელიც ამ სამუშაოს შესრულებას შეაფერხებდა, – განაცხადა მან.

ტრანსპორტის მინისტრის ცნობით, თავდაპირველად იგეგმება სატვირთო, შემდეგ კი სამგზავრო მატარებლების გაშვება.

– ეს არამხოლოდ აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს, არამედ ევროპის, შუა აზიისა და აზიის საერთო პროექტია. სანამ არ პროექტს არ დავასრულებთ, ისტორიული აბრეშუმის გზა სრულად ვერ აღდგება, – განაცხადა ბინალი ილდირიმმა.

**ბიპიენი**

# პრემიერმა კვირიკაშვილმა გაფრინდაშვილს კანდიდატურის მოხსნისკენ მოუწოდა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა შეხვდა.

– ჩვენ აპოლიტიკური დაწესებულება ვართ და პოლიტიკოსების ადგილი თსუ-ს პრობლემების გადაწყვეტაში ნამდვილად არ არის, – განაცხადა მან შეხვედრის შემდეგ.

როგორც პაპავამ აღნიშნა, მისი სტუდენტებთან მისვლა იმას უკავშირდება, რომ კიდევ ერთხელ გააფრთხილოს სტუდენტები და ახალგაზრდები, რომ უნივერსიტეტში შექმნილი პრობლემები არის უნივერსიტეტის რექტორატის და სტუდენტების გადასაწყვეტი და მასში პოლიტიკური ძალების მონაწილეობა სასურველი არ არის.

ლადო პაპავამ პოლიტიკოსებს მოუწოდა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ" ახალ კანონზე იმუშაონ, რომელიც ნამდვილად შესაცვლელია.

– აუცილებელია მიიღონ ახალი კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. ის კანონი, რომელიც 2006 წლიდან გვაქვს, აშკარად მოძველებულია. პოლიტიკოსების სამუშაო სადაც არის, არის სწორედ ეს, რომ იფიქრონ, თუ როგორ მიიღონ ისეთი კანონი, რომელიც მეტ თავისუფლებას მისცემს უმაღლეს სასწავლებელს, – განაცხადა პაპავამ.

რექტორმა მოუწოდა სენატს, ასევე სტუდენტებს, რომ მაქსიმალურად დაიცვან ოფიციალურად დამტკიცებული რეგულაციები და კანონი და დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან, რათა არსებული პრობლემა მოლაპარაკებებით გადაწყდეს.

***

11 მარტს ლადო პაპავას პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჟორიძე შეხვდა.

შეხვედრის მთავარი თემა „ოდეერის" ინსტიტუტი იყო.

– როდესაც გიორგი მარგველაშვილი გახდა საქართველოს პრეზიდენტი, მან მაშინვე გააუქმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში „ოდეერის" ინსტიტუტი. თუ ადმინისტრაციაში არ უნდა იყოს მსგავსი ინსტიტუტი, უნივერსიტეტში ასეთი რამ არის სრულიად წარმოუდგენელი. სიტყვა თავისუფლება – სრული დატვირთვით სწორედ უნივერსიტეტში უნდა რეალიზდეს. ეს არის პრეზიდენტის ცალსახა პოზიცია, – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

პრეზიდენტის მრჩეველმა აღნიშნა, რომ ისინი არ ჩაერევიან უნივერსიტეტის შიდა საქმეებში და კონკრეტულად ვინ უნდა იყოს კანცლერის თანამდებობაზე წარდგენილი, თავად უნივერსიტეტმა უნდა გადაწყვიტოს.

# ბარსელონას ნეიმარის ოლიმპიადაზე გაშვება არ უნდა




ბარსელონასა და ბრაზილიის საფეხბურთო ფედერაციის შორის შესაძლოა კონფლიქტი წარმოიშვას. მიზეზი ბარსელონას სუპერვარსკვლავი ნეიმარია, რომლის თამაშიც ბრაზილიელებს ოლიმპიადაზე სურთ. წლევანდელ ზაფხულს კოპა ამერიკაც გაიმართება და ნეიმარი კოპა ამერიკაზე ითამაშებს. თუ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ოლიმპიადაშიც მიიღო მონაწილეობა, მაშინ მას თითქმის არ ექნება დრო იმისთვის, რომ თავის გუნდთან ერთად სეზონისთვის მოემზადოს. ბრაზილიელებს ნეიმარის თამაში ორივე ტურნირზე სურთ, ხოლო ბარსელონა ამის წინააღმდეგია.

თვითონ ფეხბურთელს დიდი სურვილი აქვს, თავის ნაკრებს ოლიმპიადაზეც დაეხმაროს, ასე რომ, ბარსელონას და ბრაზილიის საფეხბურთო ფედერაციას შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით რაიმე კომპრომისის პოვნა მოუწევთ.

# რაფაელ ბენიტესი ნიუკასლის მწვრთნელი გახდება



რაფაელ ბენიტესი ინგლისში ბრუნდება.

როგორც ინგლისური პრესა იტყობინება, ნიუკასლი მთავარ მწვრთნელს სტივ მაკლარენს რამდენიმე დღეში გაანთავისუფლებს, ხოლო მის ადგილს სწორედ რაფაელ ბენიტესი დაიკავებს.

რაფაელ ბენიტესი წლების მანძილზე ლივერპულის დამრიგებელი იყო და მასთან ერთად ლივერპულმა ჩემპიონთა ლიგაც კი მოიგო. ბოლო პერიოდში ბენიტესის კარიერა არცთუ წარმატებულად მიმდინარეობს და მადრიდის რეალში მას მხოლოდ 4 თვე დასცალდა მუშაობა, რის შემდეგაც ის ზინედინ ზიდანმა შეცვალა.

ნიუკასლი ამჟამად გასავარდნ ზონაში იმყოფება და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ გუნდის ხელმძღვანელობა მწვრთნელის შეცვლას აპირებს.

# რეალმა შეიძლება დე ხეა არც იყიდოს



მადრიდის რეალმა მთელი შარშანდელი ზაფხული მანჩესტერ იუნაიტედის მეკარის დავიდ დე ხეას დევნას შეალია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ხელმოცარული დარჩა და დე ხეა ისევ მანჩესტერშია.

საბოლოო ჯამში რეალმა თავისი არჩევანო კოსტარიკელ მეკარეზე კეილორ ნავასზე შეაჩერა და ნავასმა თავისი თამაშით დაამტკიცა, რომ სამეფო გუნდმა სწორი არჩევანი გააკეთა. ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რეალი თავისი კოსტარიკელი მეკარისთვის ახალ კონტრაქტს ამზადებს, რომელიც 2020 წლამდე იქნება გათვლილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამეფო გუნდისთვის დე ხეა შეიძლება აღარც გახდეს საჭირო, თუ ნავასი ისევ მაღალ დონეზე გააგრძელებს თამაშს.

# ჩიხურაში ლეჩეს ყოფილი ფეხბურთელი ითამაშებს

საჩხერის ჩიხურას ახალი ფეხბურთელი ჰყავს, რომელიც ერთი პერიოდი იტალიური ლეჩეს ღირსებასაც იცავდა.

28 წლის ანეი ლოვრეჩიჩი სლოვაკეთიდან არის და თავის დროზე ის ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოდიოდა. ლოვრეჩიჩი ლეჩეში 2007 წელს გადავიდა და მაშინ იტალიაში მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმცა მან ეს იმედები ვერ გაამართლა. ბოლო პერიოდი ლოვრეჩიჩი კვიპროსში თამაშობდა, კარიერის მანძილზე კი მას საკმაოდ ბევრ გუნდში აქვს ნათამაშები.

ჩიხურას სლოვაკი ფეხბურთელი უახლოეს დღეებში შეუერთდება.

# მარკ ბარტრა სეზონის ბოლოს ბარსელონას დატოვებს



ბარსელონას ცენტრალური მცველი მარკ ბარტრა გუნდს ზაფხულში დატოვებს. ამაზე უკვე ბარსელონას ხელმძღვანელობაც ღიად საუბრობს.

ბარტრას არ აქვს სათამაშო პრაქტიკა და ლუის ენრიკე მასზე აქცენტს არ აკეთებს. ბარტრა ნაკლებად მნიშვნელოვან შეხვედრებშიც კი ვერ ხვდება სასტარტო შემადგენლობაში, ამიტომ ის კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებს.

ბარტრა თავის მომავალს ინგლისს უკავშირებს, სადაც მისი ყიდვა რამდენიმე გუნდს სურს.

ბარტრას აგენტი ბარსელონას ლეგენდა კარლეს პუიოლია, რომელმაც ურჩია მას, რომ კარიერა ინგლისურ კლუბში გააგრძელოს.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატურა მანჩესტერ იუნაიტედია, რომელიც ბარტრათი სერიოზულად არის დაინტერესებული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

## აცხადებს

## ღია კონკურსს

**შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:**

***1. რადიოფიზიკური და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სისტემატექნიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*** – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

კონკურსანტს უნდა გააჩნდეს გამოცდილება რადიაციული ფიზიკის, ელექტრონული სისტემების დიზაინის და მოდელირების, მიკროპროცესორული სისტემების და პროგრამირებადი ლოგიკის მოდელირებისა და დიზაინის მიმართულებით.

***2. ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*** – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

კონკურსანტს უნდა გააჩნდეს გამოცდილება რადიაციულ ფიზიკასა და მასალათმცოდნეობაში, მყარი სხეულების ზედაპირების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის მეთოდებში და ზღურბლური სპექტროსკოპიის მიმართულებით.

**კონკურსის პირობები**

**კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:**

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6-წლიანი გამოცდილება;

3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;

4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს - Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ /** ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. განცხადების ფორმა);

2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

3. ავტობიოგრაფია/CV;

4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;

9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2016 წლის 12 აპრილის 10 საათიდან 15 აპრილის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 21 აპრილს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის**
**საკონტაქტო პირი**
**ხათუნა ლომიძე**
**ტელეფონი: 599959913**

# განცხადებები

**მკურნალობა**

● სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი", „პახმელია", „ზაპოი", ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის", თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# 13 ივნისის ტრაგედიას სპექტაკლი მიეძღვნა




გასული წლის 13 ივნისი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღე აღმოჩნდა თბილისის ისტორიაში. წლების შემდეგ, მდინარე ვერეს ადიდების შედეგად, განმეორდა ტრაგედია, რომელმაც ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა.

„13...თიბათვისა" – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის პრემიერაც გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 13 მარტს გაიმართება.

ერთმოქმედებიანი დადგმა 13+ ასაკის მაყურებლისთვისაა განკუთვნილი. პიესა, რეჟისურა, სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმება გურამ მაცხონაშვილს ეკუთვნის, სპექტაკლის ტექნიკური რეჟისორი კი თამარ მედოევაა.

– სიზმრისა და ცხადის, ხელშესახებისა და ილუზიის, ამბოხისა და კონფორმიზმის, სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე მდგომი პერსონაჟები ცდილობენ, მაყურებელიც თავისკენ გადაქაჩონ და სიურეალიზმის საბურველში გაახვიონ, გაუთლელი პირდაპირობით დაახვიონ თავბრუ და მათი დახმარებით აამოქმედონ დროის მანქანის ძრავა, ეს შესაძლებელს გახდის კოლექტიურ მოგზაურობას თბილისის წარსულში, შეცდომებით დაბინძურებული ქალაქის ქუჩებში.

13 ივნისის მოვლენები, ამ მოვლენებით დაზარალებული ადამიანები დროის სვლასთან ერთად კარგავენ აქტუალურობას და ადგილს „მოკლე მეხსიერების ნაგავსაყრელზე" იკავებენ.

რას გრძნობ, როცა წყალი გფარავს, როცა მას შენი სურვილების საწინააღმდეგო მიმართულებით მიჰყავხარ? რა იგრძნეს ცხოველებმა, როცა წყალმა სახლები დაატოვებინა და რა იგრძნეს ბავშვებმა, რომლებსაც საყვარელი ცხოველები აღარ დაუხვდათ იქ, სადაც მათი ტრადიციული შეხვედრის ადგილი იყო.

სპექტაკლის ძირითადი სიუჟეტური ხაზის პარალელურად, „თეატრის მაღალი სცენიდან" ფემინიზმზე, პატრიარქატზე, მშრომელთა უფლებებსა და ურბანულ პრობლემებზე გველაპარაკებიან. პერსონაჟები ცდილობენ მოგვიხაზონ ის უსასრულო წრე, რომელზეც დიდი ხანია ხელჩაკიდებულები დავდივართ, – აცხადებს სპექტაკლის რეჟისორი გურამ მაცხონაშვილი.

# თამო ვაშალომიძე ჩივილით იმუქრება



ფოტომოდელი თამო ვაშალომიძე ჩივილით იმუქრება. მოდელმა რამდენიმე დღის წინ იმიჯი შეიცვალა და ქერა გახდა. მის ცვლილებას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა, უმრავლესობამ მოდელს გადაწყვეტილება შეუქო და იმიჯის შეცვლა მოუწონა.

ამ სიახლით ისარგებლეს სხვადასხვა სილამაზის სალონებმა და თამოს თმის ფერის ცვლილება საკუთარ სალონებს მიაწერეს, თანაც ინტერნეტში სალონის რეკლამისთვის მოდელის ფოტოები გამოიყენეს.

თამო ვაშალომიძე: – მე თმები შევიღებე ნატალიში და რატომ იპარავენ სხვა სალონები ჩემს ფოტოებს, ვერ ვხდები, თან ჩემს დაუკითხავად! აწი თუ რამე კომპანიას ან სალონს ჩემი ფოტოს დადება მოგინდებათ, მკითხეთ! ასეთი შემთხვევა თუ კიდეთ განმეორდება, საჩივარს შევიტან!

# ანზორ ერქომაიშვილმა უნიკალური არქივი მუზეუმს გადასცა



მომღერალმა, საგუნდო დირიჟორმა, ხალხური სიმღერების შემკრებმა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ანზორ ერქომაიშვილმა ხელოვნების სასახლეს თავისი უნიკალური არქივი გადასცა.

არქივი მოიცავს 200-ზე მეტ მუსიკალურ ფირფიტას, რაც XX საუკუნის დასაწყისისა და შუა ხანების უნიკალურ ქართულ და უცხოურ ჩანაწერებს აერთიანებს.

ანზორ ერქომაიშვილის არქივის ინვენტარიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ ხელოვნების სასახლეში ლოტბარის არქივის პრეზენტაცია გაიმართება.

# დემნა გვასალია თბილისში ჩამოდის




მსოფლიოში ცნობილი ბრენდის ბალენციაგას ქართველი კრეატიული დირექტორი დემნა გვასალია თბილისში ჩამოდის. ის თბილისის მოდის რიგით მე-13 კვირეულის საპატიო სტუმარი იქნება. საქართველოს ყველაზე მოდური ღონისძიება 31 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით გაიმართება.

თბილისის მოდის კვირეულის დამფუძნებლის თაკო ჩხეიძის ინფორმაციით, წლევანდელი კვირეულის მასპინძელია რუმს თბილისი, სადაც გაერთიანდება ჩვენებების დარბაზი, პრეს რუმი და სამუშაო შოუ-რუმი. ძირითად პოდიუმზე წარმოადგენენ ქართველი დიზაინერები 2016/17 წლის შემოდგომა/ზამთრის სეზონის კოლექციებს. კვირეულის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 26 მარტს კვირეულის გენერალური სპონსორის მთავარ ატრიუმში გაიხსნება კვირეულის ოფიციალური შოუ-რუმი, რომელზეც სეზონური კოლექციები იქნება წარმოდგენილი და იგი 2-კვირას გასტანს.

თბილისის მოდის კვირეულის სპეციალური საპატიო სტუმრები არიან დიზაინერი დემნა გვასალია, ვოგის ჟურნალისტი სარა მაუერი, ბურო 24/7-ის დამფუძნებელი მიროსლავა დუმა, მოდის ბლოგერი დარია შაპოვალოვა და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ქუჩის სტილის ფოტოგრაფი ადამ კაცი.

– ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელშეწყობით თბილისის მოდის კვირეულს ასევე დაესწრებიან სხვა ძალზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცემების წარმომადგენლები და მყიდველები. წელს თბილისის მოდის კვირეულის ოფიციალური კოსმეტიკა არის მეკი, რომლის უცხოელი სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ მომუშავე ვიზაჟისტები მოდელების მაკიაჟს მსოფლიო ბრენდის კოსმეტიკით შექმნიან. რაც შეეხება თმის ვარცხნილობას, ჩვენებების ამ მხარეზე კვლავ სილამაზის სალონი-სტუდია „ნატალი" იზრუნებს, რომელიც ასევე კვირეულის ერთგული პარტნიორია, – აცხადებს თაკო ჩხეიძე.

# სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს „ხელოვნების ქურუმი" მიანიჭეს

სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს დაარსებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი" მიანიჭეს.

საიუბილეო კონცერტი ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა. კულტურის მინისტრმა კვარტეტის წევრებს კონსტანტინე ვარდელს, თამაზ ბათიაშვილს, ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინიშვილს ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპეციალური ჯილდო გადასცა.

საიუბილეო კონცერტზე შესრულდა ჰაიდნის, მოცარტის, შოსონის, კრუსელის, პიაცოლასა და სულხან ცინცაძის ნაწარმოებები. კვარტეტთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა და უცხოელმა მუსიკოსებმა ლიზა ბათიაშვილმა, თამარ ლიჩელმა და ფრანსუალ ლელუმ.

# ბაქოში ქართული კულტურის ფესტივალი გაიხსნა

საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებით ახალი პროექტი „ქართული კულტურის საერთაშორისო ფესტივალი" დაიწყო. პროექტის ფარგლებში პირველი ფესტივალი ბაქოში გრანდიოზულად გაიხსნა.

300 ქართველი ბავშვის მონაწილეობით ჰეიდარ ალიევის სახელობის სასახლეში საღამო მოეწყო. პროექტის მეორე ნაწილს 28 მაისს ქალაქი ბათუმი უმასპინძლებს, სადაც მონაწილეობას 17 ქვეყნის 1000-ზე მეტი წარმომადგენელი მიიღებს.

ქართველ მონაწილეებს „ჰეიდარ ალიევის ფონდმა" უმასპინძლა, რომლის პრეზიდენტი აზერბაიჯანის პირველი ლედი მეჰრიბან ალიევაა. ანსამბლის წევრებს აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროსა და აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები შეხვდნენ.

ფესტივალი აზერბაიჯანში კულტურის პალატის წარმომადგენლის, სახალხო არტისტის თარანა მურადოვას ორგანიზებითა და ანსამბლ „სუხიშვილების" ყოფილი მოცეკვავის ეკა მამასახლისის კოორდინირებით ჩატარდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ლიტვიდან რუსი ტელეჟურნალისტები გააძევეს

ვილნიუსიდან ტელეარხ „როსიას" ჟურნალისტები გააძევეს. ისინი ცდილობდნენ, უკანონოდ შეეღწიათ ღონისძიებაზე, რომელსაც ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინკიავიჩუსი მართავდა.

ვილნიუსში გამართულ ღონისძიებაზე ხაზგასმით ითქვა: პუტინის ეპოქა დასასრულს უახლოვდება. რა მოხდება შემდეგ? ეს კითხვა ფორუმზე ერთ-ერთი მთავარი იყო. გარი კასპაროვმა დასავლეთს მოუწოდა, რეალპოლიტიკის ნაცვლად რეიგანის ეპოქის პოლიტიკას დაუბრუნდეს.

– სხვაგვარად რუსეთი მუდამ პრობლემად დარჩება! შესაძლოა პუტინის წასვლის შემდეგ ერთხანს კრემლი დათმობებზე წავიდეს, მაგრამ ეს ხანმოკლე იქნება, – თქვა კასპაროვმა.

ფორუმმა მხარი დაუჭირა როგორც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას, ასევე „სავჩენკოს სიის" შექმნასაც, რაც უშუალოდ ვლადიმერ პუტინის მიმართ სანქციებს ითვალისწინებს.

**ნ. თ.**



# ინგლისი თასმა გაანახევრა, ევროპა დერბებს მოისაკლისებს

მომავალ უიქ ენდზე ევროპაში მორიგი ტურია. ერთია, ინგლისში თასის თამაშებია და ტური ნაკლული გამოდგება. არც სხვა ჩემპიონატებშია რამე კონკრეტულად გამორჩეული მატჩი, მაგრამ საინტერესო შეხვედრები ნამდვილად ელოდება გულშემატკივარს.

## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.03 ნორვიჩი-სიტი | 5.5 | 4.0 | 1.6 |
| 12.03 ბორნმუთი-სუონსი | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 12.03 სტოკი-საუთჰემპტონი | 2.75 | 3.0 | 2.75 |
| 13.03 ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 14.03 ლესტერი-ნიუკასლი | 1.55 | 4.0 | 6.0 |

### ნორვიჩი-სიტი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-რობერტ ბრეიდი, სტივ ნეისმიტი, ალექსანდერ ტეტეი

სიტი: ***ტრავმ***-სამირ ნასრი, ფაბიან დელფი, კევინ დე ბრუინი

### ბორნმუთი-სუონსი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯუნიორ სტანისლასი, ტაირონ მინგსი, კალუმ უილსონი

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

### სტოკი-საუთჰემპტონი

სტოკი: ***ტრავმ***-ფილიპ ბიორდსლი, მარკ უილსონი, გლენ ჯონსონი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჩარლი აუგუსტინი, ჯეი როდრიგესი; ***დისკვ***-ხოსე ფონტე, ვიქტორ ვანიამა

### ასტონ ვილა-ტოტენჰემი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ჯორდან ამავი, ჯეკ გრეალიში

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-

### ლესტერი-ნიუკასლი

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პოლ დამენტი, მასაიდო ჰაიდარა, გაბრიელ ობერტანი, ტიმ კრული, ჩანელ მბემბა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 52-31 | 60 |
| 2.ტოტენჰემი | 29 | 15 | 10 | 4 | 51-24 | 55 |
| 3.არსენალი | 29 | 15 | 7 | 7 | 46-30 | 52 |
| 4.სიტი | 28 | 15 | 5 | 8 | 52-31 | 50 |
| 5.ვესტ ჰემი | 29 | 13 | 10 | 6 | 45-33 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 29 | 13 | 8 | 8 | 37-27 | 47 |
| 7.ლივერპული | 28 | 12 | 8 | 8 | 43-37 | 44 |
| 8.სტოკი | 29 | 12 | 7 | 10 | 31-34 | 43 |
| 9.საუთჰემპტონი | 29 | 11 | 8 | 10 | 36-29 | 41 |
| 10.ჩელსი | 29 | 10 | 10 | 9 | 43-39 | 40 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 9 | 10 | 30-36 | 39 |
| 12.ევერტონი | 28 | 9 | 11 | 8 | 51-39 | 38 |
| 13.უოტფორდი | 29 | 10 | 7 | 12 | 29-30 | 37 |
| 14.ბორნმუთი | 29 | 9 | 8 | 12 | 35-45 | 35 |
| 15.კრ.პალასი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-39 | 33 |
| 16.სუონსი | 29 | 8 | 9 | 12 | 28-37 | 33 |
| 17.სანდერლენდი | 29 | 6 | 7 | 16 | 35-54 | 25 |
| 18.ნორვიჩი | 29 | 6 | 6 | 17 | 31-54 | 24 |
| 19.ნიუკასლი | 28 | 6 | 6 | 16 | 28-53 | 24 |
| 20.ასტონ ვილა | 29 | 3 | 7 | 19 | 22-55 | 16 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.03 ბარსელონა-ხეტაფე | 1.04 | 15.0 | 29.0 |
| 12.03 სელტა-სოსიედადი | 2.05 | 3.4 | 3.5 |
| 12.03 ატლეტიკო-დეპორტივო | 1.25 | 5.5 | 13.0 |
| 12.03 რაიო-ეიბარი | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 13.03 ლევანტე-ვალენსია | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 13.03 სევილია-ვილიარეალი | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 13.03 ბილბაო-ბეტისი | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 13.03 ლას პალმასი-რეალი | 7.0 | 5.5 | 1.36 |
| 14.03 გრანადა-ესპანიოლი | 2.3 | 3.2 | 3.2 |

### ბარსელონა-ხეტაფე

ბარსელონა: ***ტრავმ***-რაფინია; ***დისკვ***-ხავიერ მასკერანო

ხეტაფე: ***ტრავმ***-დმიან სუარესი, კარლოს ვიგარაი, რობერტო ლაგო; ***დისკვ***-პაბლო სარაბია, კალა, ალვარო ვასკესი

## სტატისტიკა, ფსონები



### სელტა-სოსიედადი

სელტა: ***ტრავმ***-პაბლო, ენდრიუ ფონტასი; ***დისკვ***-ფაბიან ორელანა

სოსიედადი: ***ტრავმ***-სერხიო კანალესი; ***დისკვ***-ესტებან გრანერო

### ატლეტიკო-დეპორტივო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო

დეპორტივო: ***ტრავმ***-ხუან დომინგესი

### რაიო-ეიბარი

რაიო: ***ტრავმ***-პაბლო, მიკუ, ტონო, რაზვან რაცი, პატრიკ ებერტი

ეიბარი: ***ტრავმ***-იოტა, ბორხა ეკიზა

### ლევანტე-ვალენსია

ლევანტე: ***ტრავმ***-ივან ლოპესი

ვალენსია: ***ტრავმ***-დენის ჩერიშევი, ზაქარია ბაკალი; ***დისკვ***-ადერლან სანტოსი

### სევილია-ვილიარეალი

სევილია: ***ტრავმ***-მარკო ანდრეოლი, ნიკოლას პარეხა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ჯონათან დოს სანტოსი, სამუ; ***დისკვ***-რობერტო სოლდადო

### ბილბაო-ბეტისი

ბილბაო: ***ტრავმ***-ინაკი უილიამსი, იბაი გომესი; ***დისკვ***-აიმერიკ ლაპორტე, მიკელ ბალენზიაგა

ბეტისი: ***ტრავმ***-ფუდ კადირი, კრისტიანო პიცინი; ***დისკვ***-ხუან ვარგასი

### ლას პალმასი-რეალი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-მუბარაქ ვაკასო, ერნანი, დანიელ კასტელანო, ხოსე ვისენტე გომესი, ხავი კასტელანო

რეალი: ***ტრავმ***-ქარიმ ბენზემა

### გრანადა-ესპანიოლი

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ანდრეს ფერნანდესი, ადალბერტო პენარანდა

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ანაიც არბილია; ***დისკვ***-ვიქტორ სანჩესი, პაპე დიოპი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 23 | 3 | 2 | 78-22 | 72 |
| 2.ატლეტიკო | 28 | 20 | 4 | 4 | 42-12 | 64 |
| 3.რეალი | 28 | 18 | 6 | 4 | 81-27 | 60 |
| 4.ვილიარეალი | 28 | 15 | 8 | 5 | 33-19 | 53 |
| 5.სევილია | 28 | 12 | 9 | 7 | 39-29 | 45 |
| 6.ბილბაო | 28 | 13 | 5 | 10 | 44-36 | 44 |
| 7.სელტა | 28 | 12 | 6 | 10 | 40-51 | 42 |
| 8.ეიბარი | 28 | 10 | 6 | 12 | 40-40 | 36 |
| 9.სოსიედადი | 28 | 9 | 8 | 11 | 37-39 | 35 |
| 10.ბეტისი | 28 | 8 | 10 | 10 | 26-36 | 34 |
| 11.ვალენსია | 28 | 8 | 10 | 10 | 33-33 | 34 |
| 12.მალაგა | 28 | 8 | 9 | 11 | 27-28 | 33 |
| 13.დეპორტივო | 28 | 6 | 15 | 7 | 37-39 | 33 |
| 14.ლას პალმასი | 28 | 8 | 6 | 14 | 30-40 | 30 |
| 15.ესპანიოლი | 27 | 8 | 4 | 15 | 26-53 | 28 |
| 16.ხეტაფე | 28 | 7 | 6 | 15 | 27-45 | 27 |
| 17.რაიო | 27 | 6 | 8 | 13 | 37-58 | 26 |
| 18.გრანადა | 28 | 7 | 5 | 16 | 29-53 | 26 |
| 19.ხიხონი | 28 | 6 | 6 | 16 | 30-50 | 24 |
| 20.ლევანტე | 28 | 5 | 6 | 17 | 26-52 | 21 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.03 გლადბახი-აინტრახტი | 1.57 | 4.4 | 5.0 |
| 12.03 ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი | 3.2 | 3.75 | 2.1 |
| 12.03 დარმშტადი-აუგსბურგი | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 12.03 ჰანოვერი-კიოლნი | 3.4 | 3.3 | 2.15 |
| 12.03 ინგოლშტადი-შტუტგარტი | 2.8 | 3.4 | 2.45 |
| 12.03 ბაიერნი-ვერდერი | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 13.03 ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 13.03 დორტმუნდი-მაინცი | 1.36 | 5.0 | 8.0 |

### გლადბახი-აინტრახტი

გლადბახი: ***ტრავმ***-ოსკარ ვენდტი, მარტინ შტრანცლი, ტონი იანჩკე, ალვარო დომინგესი, ნიკო შულცი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მეიერი, შტეფან რეინალტცი, იოანეს ფლუმი, ლუკ კასტადინოსი

### ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ჯოელინტონი, ტარიკ ელიონოუსი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ნალდო, ნიკლას ბენდტნერი, დიეგო ბენალიო, სებასტიან იუნგი, ბას დოსტი

### დარმშტადი-აუგსბურგი

დარმშტადი: ***ტრავმ***-მარკო საილერი, გიორგ გარიკი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-პიოტრ ტროხოვსკი, ჯი დონგ ვონი, იან მორავეკი, მარკუს ფულნერი, დანიელ ბაიერი, ჟან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი

### ჰანოვერი-კიოლნი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-უფე ბეჩი, ლეონ ანდრეასენი, ჩარლისონ ბენშოპი

კიოლნი: ***ტრავმ***-სიმონ ზოლერი

### ინგოლშტადი-შტუტგარტი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ალფრედო მორალესი, დანილო სოარესი, ტობიას ლეველსი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ტიმო ბაუმგარტი, დანიელ გინსეკი

### ბაიერნი-ვერდერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჰოლგერ ბადშტურბერი, მილოშ პანტოვიჩი, ხავი მარტინესი, ჯერომ ბოატენგი

ვერდერი: ***ტრავმ***-მასელ ჰილსნერი, ფილიპ ბარგფრიდი, ლუკა ზანდერი, არონ იოჰანსონი

### ლევერკუზენი-ჰამბურგი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-რობერტო ჰილბერტი, შტეფან კისლინგი, ლარს ბენდერი, კევინ კამპლი, კირიაკოს პაპადოპულოსი, ომერ ტოპრაკი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლაი მიულერი, ალბინ ეკდალი, მიქაელ გრეგირიჩი, ანდრეას ჰირცელი

### დორტმუნდი-მაინცი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სოკრატის პაპასტატოპულოსი

მაინცი: ***ტრავმ***-პიერ ბენგსტონი, იოშინორი მუტო, ფილიპ კლემენტი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 25 | 20 | 3 | 2 | 59-13 | 63 |
| 2.დორტმუნდი | 25 | 18 | 4 | 3 | 59-25 | 58 |
| 3.ჰერტა | 25 | 12 | 6 | 7 | 33-26 | 42 |
| 4.შალკე | 25 | 12 | 5 | 8 | 37-32 | 41 |
| 5.მაინცი | 25 | 12 | 4 | 9 | 34-30 | 40 |
| 6.გლადბახი | 25 | 12 | 3 | 10 | 50-42 | 39 |
| 7.ვოლფსბურგი | 25 | 10 | 7 | 8 | 38-32 | 37 |
| 8.ლევერკუზენი | 25 | 10 | 6 | 9 | 36-33 | 36 |
| 9.ინგოლშტადტი | 25 | 8 | 8 | 9 | 19-26 | 32 |
| 10.ჰამბურგი | 25 | 8 | 7 | 10 | 30-34 | 31 |
| 11.შტუტგარტი | 25 | 9 | 4 | 12 | 40-49 | 31 |
| 12.კიოლნი | 25 | 7 | 9 | 9 | 26-33 | 30 |
| 13.ვერდერი | 25 | 7 | 6 | 12 | 35-48 | 27 |
| 14.აუგსბურგი | 25 | 6 | 8 | 11 | 30-38 | 26 |
| 15.დარმშტადტი | 25 | 6 | 8 | 11 | 25-38 | 26 |
| 16.აინტრახტი | 25 | 5 | 9 | 11 | 28-40 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 25 | 4 | 9 | 12 | 26-42 | 21 |
| 18.ჰანოვერი | 25 | 5 | 2 | 18 | 22-46 | 17 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.03 ემპოლი-სამპდორია | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 12.03 ინტერი-ბოლონია | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 13.03 კიევო-მილანი | 3.6 | 3.25 | 2.1 |
| 13.03 უდინეზე-რომა | 4.33 | 3.5 | 1.85 |
| 13.03 ფიორენტინა-ვერონა | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 13.03 ჯენოა-ტორინო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 13.03 კარპი-ფროზინონე | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 13.03 პალერმო-ნაპოლი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 13.03 ლაციო-ატალანტა | 1.6 | 3.75 | 6.0 |

### ემპოლი-სამპდორია

ემპოლი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ლორენცო ტონელი

სამპდორია: ***ტრავმ***-კარლოს კარბონერო

### ინტერი-ბოლონია

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

ბოლონია: ***ტრავმ***-ემილ კრაფტი

### კიევო-მილანი

კიევო: ***ტრავმ***-ალესანდრო გამბერინი, ფედერიკო მატიელო

მილანი: ***ტრავმ***-მბაიე ნიანგი, რიკარდო მონტოლივო, როდრიგო ელი

### უდინეზე-რომა

უდინეზე: ***ტრავმ***-ალექსანდერ მერკელი; ***დისკვ***-ივან პირისი

რომა: ***ტრავმ***-ანტონიო რუდიგერი, დანიელე დე როსი

### ფიორენტინა-ვერონა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მატიას ვეჩინო; ***დისკვ***-მილან ბადელი

ვერონა: ***ტრავმ***-ვანგელის მორასი, სამუელ სოპრაიენი

### ჯენოა-ტორინო

ჯენოა: ***ტრავმ***-ლეონარდო პავოლეტი

ტორინო: ***ტრავმ***-დანილო აველარი, ალესანდრო გაცი

### კარპი-ფროზინონე

კარპი: ***ტრავმ***-სიმონე ვერდი, რაფაელ მარტინიო, იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელე

ფროზინონე: ***ტრავმ***-ალეკსანდერ ტონევი, ადრიანო რუსო; ***დისკვ***-ლეონარდო ბლანჩარდი, ლუკა პაგანინი

### პალერმო-ნაპოლი

პალერმო: ***ტრავმ***-ედოეარდო გოლდანია, აჩრაფ ლაზაარი

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

### ლაციო-ატალანტა

ლაციო: ***ტრავმ***-სტეფან დე ვრეი

ატალანტა: ***ტრავმ***-ალეხანდრო გომესი, კარლოს კარმონა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 28 | 20 | 4 | 4 | 50-15 | 64 |
| 2.ნაპოლი | 28 | 18 | 7 | 3 | 58-23 | 61 |
| 3.რომა | 28 | 16 | 8 | 4 | 59-29 | 56 |
| 4.ფიორენტინა | 28 | 16 | 5 | 7 | 49-31 | 53 |
| 5.ინტერი | 28 | 15 | 6 | 7 | 37-26 | 51 |
| 6.მილანი | 28 | 13 | 8 | 7 | 39-30 | 47 |
| 7.სასუოლო | 28 | 11 | 11 | 6 | 36-31 | 44 |
| 8.ლაციო | 28 | 10 | 8 | 10 | 35-37 | 38 |
| 9.ბოლონია | 28 | 10 | 6 | 12 | 29-31 | 36 |
| 10.კიევო | 28 | 9 | 7 | 12 | 33-39 | 34 |
| 11.ემპოლი | 28 | 9 | 7 | 12 | 33-41 | 34 |
| 12.ტორინო | 28 | 8 | 9 | 11 | 34-35 | 33 |
| 13.სამპდორია | 28 | 8 | 7 | 13 | 42-46 | 31 |
| 14.ჯენოა | 28 | 8 | 7 | 13 | 28-32 | 31 |
| 15.ატალანტა | 28 | 7 | 9 | 12 | 26-33 | 30 |
| 16.უდინეზე | 28 | 8 | 6 | 14 | 24-42 | 30 |
| 17.პალერმო | 28 | 7 | 6 | 15 | 28-50 | 27 |
| 18.ფროზინონე | 28 | 7 | 5 | 16 | 28-53 | 26 |
| 19.კარპი | 28 | 4 | 10 | 14 | 24-44 | 22 |
| 20.ვერონა | 28 | 2 | 12 | 14 | 24-48 | 18 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.03 ლორიანი-მარსელი | 3.25 | 3.25 | 2.25 |
| 12.03 გენგამი-სტ.ეტიენი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 12.03 მონპელიე-ნიცა | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 12.03 გაზელეკი-კაენი | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 12.03 ტულუზა-ბორდო | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 12.03 ბასტია-ლილი | 2.9 | 2.9 | 2.7 |
| 13.03 ტრუა-პსჟ | 9.5 | 5.5 | 1.3 |
| 13.03 ნანტი-ანჟე | 2.0 | 3.0 | 4.4 |
| 13.03 რენი-ლიონი | 3.2 | 3.2 | 2.3 |

### ლორიანი-მარსელი

ლორიანი: ***ტრავმ***-პაპე აბდუ პაიე, ბენჯამინ მუკანჯო, მორიკე ფოფანა, იან ჯუფრე, ვესლი ლაუტოლა

მარსელი: ***ტრავმ***-აბუ დიაბი, ბრაის ჯა ჯეჯე, ანდრე ანგუისა, ლუკას ოკამპოსი

### გენგამი-სტ.ეტიენი

გენგამი: ***ტრავმ***-ფრანკ ჰერი, მანა დემბელე, ჯერემი სორბონი, ნიკოლას ბენეზეტი, დორიან ლევო, ნილ დე პოუ, მამადუ სამასა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-რომან ჰუმუმა, პიერ პოლომატი, რობერტ ბერიჩი

### მონპელიე-ნიცა

მონპელიე: ***ტრავმ***-იორის მავრო, სულეიმან კამარა, მორგან სანსონი, პოლ ლანსე

ნიცა: ***ტრავმ***-მიშელ ლე ბიანი, სიმონ პუპლინი

### გაზელეკი-კაენი

გაზელეკი: ***ტრავმ***-გრეგუარ პუიოლი

კაენი: ***ტრავმ***-საიდი ნტიბაზონკიზა, ისმაელ დიომანდე, ემანუელ ომორო, ჯონათან დელაპლასე

### ტულუზა-ბორდო

ტულუზა: ***ტრავმ***-პავლე ნინკოვი

ბორდო: ***ტრავმ***-მეტიუ დებუში, იაროსლავ პლასილი, სედრიკ კარასო, ნიკოლას პალოისი, ნიკოლას მორისი, მილან გაიჩი, გრეგუარ სეტიჩი

### ბასტია-ლილი

ბასტია: ***ტრავმ***-ჟილ ციონი, კრისტოფერ მაბულუ, ჟულიენ რომანი

ლილი: ***ტრავმ***-მარვინ მარტინი, რენატო კიველი, ფლორენტ ბალმო, მაიკ მაინანი

### ტრუა-პსჟ

ტრუა: ***ტრავმ***-იოან მარსიალი, მეტიუ სუნიე, მორი კონე

პსჟ: ***ტრავმ***-ბლეზ მატუიდი, მარკო ვერატი

### ნანტი-ანჟე

ნანტი: ***ტრავმ***-ემირ ლენიანი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

ანჟე: ***ტრავმ***-პიერიკ კაპელე, სლიმანე სისოკო, ფერებორი დორე

### რენი-ლიონი

რენი: ***ტრავმ***-პოლ ნტეპი, იაკუბა სილა, ედსონ მექსე

ლიონი: ***ტრავმ***-მეტიუ ვალბუენა, კორენტინ ტოლისო, ალდო კალულუ, ნაბილ ფეკირი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 23 | 5 | 1 | 68-15 | 74 |
| 2.მონაკო | 29 | 13 | 12 | 4 | 42-32 | 51 |
| 3.ლიონი | 29 | 13 | 6 | 10 | 45-31 | 45 |
| 4.ნიცა | 29 | 12 | 8 | 9 | 41-33 | 44 |
| 5.რენი | 29 | 11 | 11 | 7 | 40-34 | 44 |
| 6.კაენი | 29 | 13 | 4 | 12 | 32-38 | 43 |
| 7.სტ.ეტიენი | 29 | 12 | 6 | 11 | 33-32 | 42 |
| 8.ნანტი | 29 | 10 | 11 | 8 | 27-28 | 41 |
| 9.ანჟე | 29 | 10 | 9 | 10 | 29-29 | 39 |
| 10.ბასტია | 29 | 11 | 6 | 12 | 27-29 | 39 |
| 11.მარსელი | 29 | 8 | 14 | 7 | 39-30 | 38 |
| 12.ლორიანი | 29 | 9 | 11 | 9 | 40-41 | 38 |
| 13.ბორდო | 29 | 9 | 11 | 9 | 38-44 | 38 |
| 14.ლილი | 29 | 8 | 13 | 8 | 23-23 | 37 |
| 15.მონპელიე | 29 | 10 | 6 | 13 | 36-33 | 36 |
| 16.რეიმსი | 29 | 8 | 8 | 13 | 32-41 | 32 |
| 17.გენგამი | 29 | 8 | 8 | 13 | 34-45 | 32 |
| 18.გაზელეკი | 29 | 6 | 12 | 11 | 30-40 | 30 |
| 19.ტულუზა | 29 | 4 | 11 | 14 | 28-48 | 23 |
| 20.ტრუა | 29 | 2 | 8 | 19 | 21-59 | 14 |

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

ჩვენს საყვარელ
**მიშა ქორქოლიანს**
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
დღეგრძელობას, წინსვლას
საზოგადოებრივ და პირად
ცხოვრებაში.
„ახალი თაობა“

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ორშაბათი 14 მარტი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ "დაუნტონის სააბატო" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "ქასლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "მოულოდნელი ორსულობა" 03.10 "პირადი ექიმი"

